საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 18
(11 167)
7 – 10 მარტი, 1998 წ.
ფასი 40 თეთრი
გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ტკივილი ქართულ ჭადრაკში აგორებული ზვავი ტრადიციებს ნალეკვით ემუქრება

ქართულ საჭადრაკო სამყაროში ცა ქარგა ხანია თურმე იქუფრებოდა. მერე, ბოლოს და ბოლოს, ღრუბლების შეყრის დროც დადგა და მეხიც გავარდა

ხსვათა შორის, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი „მეხის“ ახსნისას იმაზეც მიუთითებს, რომ იგი „იწვევს ხანძარს, ნგრევას და მისთ.“ ჩვენში გავარდნილმა „საჭადრაკო მეხმაც“ გააკეთა თავისი საქმე. ქართულ საჭადრაკო სკოლას და ტრადიციებს კაი გვარიანი ცეცხლიც „შეუნთო“ და საფუძველიც ისე შეურყია, რომ ნგრევის პროცესი ფაქტობრივად დაწყებულია.

ისე დიდი უგემოვნო ხალხი ვართ, დაპირისპირებაც კი არ ვიცით ლაზათიანი – ან ნახევარსიტყვით ვამბობთ სათქმელს, ან ქვეტექსტით, ან შურია დაპირისპირების საბაბი ან ღვარძლი, ან პირადი ამბიციები, ან... ყველაზე უბედურება კი ის გახლავთ, რომ ყველაფერი არა საქმის სასიკეთო, არამედ პირადი ინტერესებითაა დაღდასმული. რასაც ერთი რომ მეორეს უკიჟინებს, მერე თავადვე იგივეს სჩადის, ხშირად უფრო აღმაშფოთებლადაც. რაო, თუ დღეს მართლა ჭადრაკის სასახლის პრივატიზების გამო ატყდა ასეთი აურზაური და დედოფალი მოჭადრაკეები რომ განზე გადგნენ, მამაკაცები საკუთარი ჯიბიდან ფულს მხოლოდ იმიტომ ამოიღებდნენ, რომ ჭადრაკის სასახლემ ფუნქცია არ დაკარგოს და ქართულ ჭადრაკს ემსახუროს? არ დაიჯეროთ! ღმერთმა ქნას ვცდებოდეთ! ჩვენი ქალები არც წინდაუხედავები არიან და არც იმდენად ემოციურები, რომ არ იცოდნენ რას აცხადებენ და რა სვლას აკეთებენ. აკი მერე ამ დღეებში პრესაში გამოქვეყნებულ მათ განცხადებაში („საქართველოს რესპუბლიკა“ №52) პირდაპირ, ღიადაა ნათქვამი, რომ თურმე ჭადრაკის ფედერაციის ყრილობის წინ მოჭადრაკე ვაჟები „საიდუმლო სერობაზე“ ერთმანეთში „ჭადრაკის სასახლის პროცესტებს ანაწილებდნენ“. თუმცა, ასეთ ფაქტს კატეგორიულად უარყოფს ფედერაციის ახალარჩეული პრეზიდენტი ზურაბ აზმაიფარაშვილი.

იქნებ თავიდანვე იყო დაშვებული შეცდომა, როცა ეს სპორტული ობიექტი საპრივატიზაციო ნუსხაში შეიტანეს და ქვეყნის პრეზიდენტის ბრძანებულებით პრივატიზებაში საჭადრაკო ოლიმპიადების ჩემპიონ ქალებს პრიორიტეტული უფლება მიენიჭათ. თუმცა, რატომ შეცდომა, განა ჩვენი ქალები ამას არ იმსახურებენ, განა იგივე ვაჟი მოჭადრაკეების შედეგები ჩვენი დედოფლების მიღწევებთან მოვა? როგორც ხედავთ, გასაკვირი აქ არაფერი იყო, მაგრამ თუ გინდა და სურვილი გაქვს, მით უფრო, როცა ამას ქართული ხასიათიც ეგუება, ისეთ აურზაურს ატეხ, ისეთ რამეს მოიშველიებ, ისეთ სარჩულს დაუდებ, „ქვას ააცრემლებ“.

ქალ მოჭადრაკეთა განცხადება ისეთი ტონითა და პრინციპულობითაა დაწერილი, რომ არა გვგონია საქმე შერიგებისკენ წავიდეს. იქ კი ისეთი სერიოზული ბრალდებებია მოტანილი, ალბათ, აჯობებდა ვინმეს თავიდანვე გახსენებოდა „ბრძნული“ შეგონება „შენც სუ, მეც სუ!“ აწი, ბევრ დროს ალბათ იმის მტკიცება წაიღებს, ვინ მართალია და ვინ მტყუანი, ეს კი, საერთო საქმეს ნაკლებად გამოადგება. ახლა ზვავი აგორებულია და ქართულ ჭადრაკს დაქცევით ემუქრება, ამ ზვავს უკვე, ეტყობა, ვაჟთა თავის მართლება და ჯენტლმენური ნაბიჯებიც ვეღარ შეაჩერებს – ერთადერთი გამოსავალი იმაშია, რომ მთელი ქართული საჭადრაკო სამყარო, პირველ ყოვლისა, ქალებიც და ვაჟებიც წინ აღუდგნენ დამაქცეველ სტიქიას და დარტყმა თავის თავზე მიიღონ. ეს ამავე დროს მონანიებაც იქნება, სხვა გზა არ ჩანს. თუმცა, ბილიკი იმდენი გაჩნდება, რამდენი მოჭადრაკეც ამ ბრძნული თამაშის დაფას მიჯდომია და მომავალში მიუჯდება. გათითოკაცებული ქართული საჭადრაკო სამყარო, ახალი და სამარცხვინო ისტორიის დასაწყისს აითვლის.

ახალ ყრილობაზეც იმსჯელეს

როგორც ვიტყობინებოდით, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის ნოდარ ახალკაცის გარდაცვალებიდან მეორმოცე დღეს დანიშნული იყო სფფ-ს აღმასკომის სხდომა, რომელზეც განიხილებოდა მორიგი, მეოთხე ყრილობისათვის მზადების საკითხი. იცით, იგი წელს, 24 ივლისს გაიმართება. გუშინწინდელ სხდომაზე გადაწყდა, რომ საანგარიშო მოხსენებები პრესაში გამოქვეყნდება ერთი თვით ადრე და საფეხბურთო საზოგადოებას საშუალება მიეცემა მკაფიოდ გამოხატოს თავისი აზრი ამა თუ იმ საკითხზე. დებულების მიხედვით, ყრილობაზე წარმომადგენლობას განსაზღვრავს ფედერაციის აღმასკომი. შემოსულია წინადადება ყოველ საფეხბურთო სუბიექტს (სპორტსკოლები, კლუბები, გუნდები, ვეტერანთა კავშირი, გულშემატკივართა კლუბები თუ სხვა) მიეცეს თითო ხმა. თუ მომავალ აღმასკომზე ეს წინადადება გავიდა, ყრილობას დაახლოებით 150 დელეგატი დაესწრება.

გულშემატკივრებმა იციან, რომ საქართველოში მიმდინარეობს ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამის პროექტზე მუშაობა. ამასთან დაკავშირებით, სფფ-მ თავისი წინადადებები წარადგინა. გამოითქვა სურვილი, რომ ამ მიმართების მუშაობა უფრო ინტენსიური გახდეს.

აღმასკომზე დამტკიცდა მეცხრე ეროვნული ჩემპიონატისა და თასის მერვე გათამაშების კალენდარი. ამ შეჯიბრების ჩატარების დებულებაში ერთი ცვლილებაც შეიტანეს: დაახლოებით 25 ფეხბურთელია, რომელიც ერთი გუნდიდან მეორეში გადავიდა და ითხოვს ნება დართონ თასის გათამაშებაში ახალი გუნდის შემადგენლობაში იასპარეზოს. ეს თხოვნა აღმასკომმა დააკმაყოფილა.

საქართველოს ჭაბუკ ფეხბურთელთა (14 წლამდე) პირველობას აღმასკომმა ერთხმად მიანიჭა სლავა მეტრეველის სახელი.



VIII გათამაშება
1/4 ფინალი

გუშინ...

იბერია (სამტრედია) — დინამო (თბილისი) 1-0
კოლხეთი-1913 (ფოთი) — უნივერსიტეტი (თბილისი) 0-3
კოლხეთი (ხობი) — დინამო (ბათუმი) 0-5
მაღაროელი (ჭიათურა) — დილა (გორი) 1-2

→→→ (იხ. მე-2 გვ.)

ქართველი ჭაბუკები საკონტინენტო ჯაჭვებს ავსტრიაში გაეართავენ

UEFA UNDER-16 Championship

საქართველოს 16 წლამდე ჭაბუკ ფეხბურთელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში წელს შემოდგომით მეექვსე ჯგუფში იასპარეზებს. სფფ შეეცადა, რომ ეს შეჯიბრება ჩატარებულიყო მიმოსვლით, მაგრამ ავსტრიისა და საბერძნეთის ფეხბურთის ფედერაციებმა ამ იდეას მხარი არ დაუჭირეს — შესარჩევი მატჩები ერთ ქვეყანაში — ავსტრიაში გაიმართება.

გთავაზობთ VI ჯგუფის კალენდარს:

22 ოქტომბერი
საქართველო — ავსტრია
საბერძნეთი — აზერბაიჯანი

24 ოქტომბერი
საქართველო — საბერძნეთი
ავსტრია — აზერბაიჯანი

26 ოქტომბერი
აზერბაიჯანი — საქართველო
ავსტრია — საბერძნეთი

მილოცვა

ქ. თბილისის მერიის სპორტის სამმართველო დაბადებიდან 75-ე წლისთავს ულოცავს საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის ფსიქოლოგიისა და პედაგოგიკის კათედრის გამგეს, დოცენტ ბივი დვალს.

გუშინ პრესკონფერენციაზე

„მე არ მითქვამს, რომ ნონა გაფრინდაშვილი ბანდიტია“ – აცხადებს ზურაბ აზმაიფარაშვილი

ჭადრაკის სასახლეში გამართული ეს პრესკონფერენცია გაცილებით ადრე დაინიშნა, ვიდრე მოჭადრაკე ქალთა განცხადება გამოჩნდებოდა პრესაში. ამდენად ეს ორი ფაქტი არანაირ წინასწარ გამიზნულ კავშირში არ იყო ერთმანეთთან. ზურაბ აზმაიფარაშვილმა სამომავლო გეგმებზე და შექმნილ სიტუაციაზე ილაპარაკა, თუმცა, ჟურნალისტთა შეკითხვები, ძირითადად, მაინც ხსენებულ განცხადებებში მოტანილ ფაქტებს უტრიალებდა. „ბრალდებებს“ ზურაბმა ამომწურავი პასუხი გასცა, გაირკვა, რომ ბევრი რამ გაზვიადებულიცაა, ზოგიერთი რამ კი თურმე სულაც არ არის ისეთი „სამარცხვინო“ როგორც ეს განცხადებაშია აღნიშნული.

ახალი პრეზიდენტი თვლის, რომ მისი ამოცანაა, ჭადრაკის სასახლე ამოიღონ საპრივატიზაციო სიიდან, თუნდაც საკონტროლო პაკეტი დარჩეს სახელმწიფოს, სასახლეს კი ნონა გაფრინდაშვილის სახელი ეწოდოს. „მე ნონა გაფრინდაშვილს, როგორც ბუმბერაზ მოჭადრაკეს და პიროვნებას, უაღრესად დიდ პატივს ვცემ, მუდამ მოწიწებული ვარ მასთან. მე არ მითქვამს, რომ ნონა გაფრინდაშვილი ბანდიტია, ეს სიტყვა არა რომელიმე კონკრეტულ პიროვნებასთან დაკავშირებით, არამედ, სულ სხვა საქმეზე კონტექსტში იყო ნათქვამი“ – განაცხადა ზურაბმა და დასძინა – „მე მოვედი, რომ საჭადრაკო სამყარო იყოს ერთიანი და არა გათიშული“.

ჩვენც ყველას ეს გვწადია, მაგრამ ვაი, რომ ტკივილი, რომელიც ამ სამყაროს, რომლის დევნიზია „ჩვენ – ერთი ოჯახი ვართ!“ ერთმანეთს მიაყენეს, უკვალოდ ვერ ჩაივლის.

5 მარტს ნოდარ ახალკაცის გარდაცვალებიდან 40 დღე შესრულდა. ქართული ფეხბურთის ამ დიდი მოამაგისა და პიროვნების საფლავზე ოჯახის წევრებთან და ახლობლებთან ერთად შეიკრიბნენ სფფ-ს ხელმძღვანელები, ფეხბურთის სპეციალისტები, ვეტერანი ფეხბურთელები და თაყვანისმცემლები. გუშინ უეფადან რედაქციაში მივიდეთ ამ ორგანიზაციის ყოველთვიური გამოცემის ბოლო ნომერი, სადაც ნოდარ ახალკაცის გარდაცვალების ცნობაცაა გამოქვეყნებული.

OBITUARY



Just a few days after his 60th birthday, Nodar Akhalkatsi, a member of the Committee for Technical Development and President of the Georgian FA, died suddenly at the end of January.

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

მსუბუქი ყოფაცქევისათვის

ბელგიის ქალაქ ლიეჟში დამთავრდა რუსი ფეხბურთელის ალექსანდრ რიჩკოვის სასამართლო პროცესი. იგი ახლა ბუნდესლიგის კლუბ „კიოლნში“ თამაშობს. მას მიესაჯა ორწლიანი პატიმრობა სასჯელის მოხდის ვადის გადადებით. რა დაეშავა რიჩკოვმა? 1995 წელს, ლიეჟის „სტანდარდში“ რომ თამაშობდა, გააუპატიურა ადგილობრივი ქალი, რომელმაც იჩივლა და ახლა 5 ათას გერმანულ მარკასაც მიიღებს.

ბებეტო „ბოტაფოგოს“ დარჩა

შარშან ბრაზილიის ნაკრებს დაუბრუნდა გამოჩენილი თავდამსხმელი 33 წლის ბებეტო. რაც შეეხება მის საკლუბო კარიერას, აქ ყველაფერი აირდაირია. 1997 წლის განმავლობაში ითამაშა „ფლამენგოში“, „ვიტორიაში“, ესპანურ „ლა კორუნიაში“, შემდეგ კი კვლავ ბრაზილიურ „კრუზეიროში“. მის დაპატრონებას ცდილობენ „ბოტაფოგო“ და „ვასკო და გამა“, სადაც ბებეტო მთელი 9 წლის განმავლობაში გამოდიოდა.

და აი ახალი ამბავიც: ბანკმა „ეშელმა“, რომელსაც ფეხბურთელი ეკუთვნის, იგი წლის ბოლომდე „ბოტაფოგოს“ დაუთმო.

„ტვენტე“ ასეთებს სჯის

როგორც ჰოლანდიის კლუბ „ტვენტეს“ ხელმძღვანელობამ გამოაცხადა, გუნდიდან გაირიცხა რუსი იური პეტროვი, რომელიც ადრე მოსკოვის „სპარტაკსა“ და „ლოკომოტივში“, აგრეთვე ქვეყნის ახალგაზრდულ ნაკრებში თამაშობდა. მიზეზი გახლავთ ღამით ბაზაზე დანიშნულ დროზე გვიან გამოცხადება. იგი ადრეც არღვევდა დისციპლინას, მანქანას მთვრალი მართავდა, რისთვისაც პოლიციამ დაიკავა და ა.შ.

ამის მიუხედავად, იური პეტროვს ახლაც იწვევენ თურქეთის, გერმანიისა და იმავე ჰოლანდიის კლუბები.

ბიშოვეცი პოპულარული კაცია

სანკტ-პეტერბურგის გაზეთმა „ნეზავისიმაია გაზეტამ“ გამოაქვეყნა ამ ქალაქში ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგები, რომელშიც 65 ექსპერტი მონაწილეობდა. მათ უნდა დაესახელებინათ სანკტ-პეტერბურგის ყველაზე გავლენიანი ადამიანები.

პირველ ადგილზე გავიდა ქალაქის გუბერნატორი ვლადიმირ იაკოვლევი, მეორეზე — გამოჩენილი ლიტერატურისმცოდნე, აკადემიკოსი დმიტრი ლიხაჩოვი, ამ სიაში მოულოდნელად აღმოჩნდა „ზენიტის“ საფეხბურთო კლუბის მთავარი მწვრთნელი ანატოლი ბიშოვეცი, რომელმაც „რეიტინგ-ლისტში“ ქალაქის ბევრ ცნობილ პიროვნებას გაასწრო, მათ შორის მაღაჩინოსან პოლიციელებსაც.

როცა სუპერკლუბობა გსურს

სოფიის არმიელთა კლუბი ცსკა თავის დროზე ევროპულ ფეხბურთში კარგად ცნობილი იყო, ამ ბოლო წლებში კი, პირდაპირ ვუქმათ, არავის ახსოვს. ახლა მას ფრიად შეძლებული სპონსორები გამოუჩნდა და გადაწყდა, არც მეტი, არც ნაკლები, ევროპული სუპერკლუბის შექმნა.

როგორ? სპონსორებმა სხვადასხვა კლუბისაგან უკვე გამოისყიდეს ნაკრების ცნობილი მოთამაშეების ცანკო ცვეტანოვის, ტრიფონ ივანოვისა და ემილ კოსტადინოვის ტრანსფერები. ესეც არაფერი — სამშობლოში დაბრუნდებიან ყველაზე უფრო ცნობილი ბულგარელი ვარსკვლავები ხრისტო სტოიჩკოვი და იორდან ლეჩკოვი, ერთი სიტყვით, ცსკა თითქმის ისეთივე ძალისა იქნება, როგორც დღესდღეობით ბულგარეთის ნაკრები.

„რონალდოს მიატოვიჩი მირჩევნია“

ამას აცხადებს მადრიდის „რეალის“ ახალი თავდამსხმელი, 21 წლის მეტად ნიჭიერი ფერნანდო მორიენტესი, რომელიც ხან მიატოვიჩის ნაცვლად თამაშობს, ხან შუკერისა, მაგრამ გოლი გოლზე გააქვს.

როგორც მორიენტესმა განაცხადა, იგი აღტაცებულია მიატოვიჩის თამაშით: „მის მხარდამხარ თამაში ნამდვილი სიამოვნებაა. რონალდო დიდი ფეხბურთელია, მაგრამ მიატოვიჩი უფრო დიდია, ორივე თანაბრად სწრაფია, მაგრამ მიატოვიჩს უკეთესი ტექნიკა აქვს. ამ მხრივ იგი ყოველი მატჩის შემდეგ რაღაცით მაკვირვებს...“

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამბო საქართველოს პირველობა

ჩვენს ახალგაზრდებს და ჭაბუკებს ევროპა ელით

ეს იყო ევროპის პირველობისათვის (პარიზი, აპრილი) შესარჩევი პირველობა, რომელსაც ჭაბუკებისა და ახალგაზრდების ეროვნული ნაკრების კანდიდატები უნდა დაესახელებინა. სამბოს პოპულარობა და მასობრიობა ჩვენში ეჭვს აღარ იწვევს, რაც საგარეჯოში გამართულმა ამ შეჯიბრებამ ერთხელ კიდევ ხაზგასმით დაადასტურა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს წყალტუბოელთა და ქუთაისელთა პროგრესი, თბილისის სპორტის სამმართველოს (უფროსი ვ. კანკავა) თანადგომით კი შთამბეჭდავი წინსვლა იგრძნობა დედაქალაქის სამბისტთა ოჯახში. კარგად მომზადებული სპორტსმენები გამოიყვანეს სარბიელზე ფოთელებმა, ზესტაფონელებმა, კასპელებმა, ხაშურელებმა, გორელებმა, ქარელელებმა, რუსთაველებმა...

2 1 3
ქვარცხლბეკი

ახალგაზრდები. *48 კგ:* 1. მერაბ ლაგვილავა (ხობი), 2. ლაშა მიქაბერიძე (ფოთი), 3. დათო ლობჟანიძე (ქუთაისი); *52 კგ:* 1. თამაზ ნეფარიძე (ქუთაისი), 2. აკაკი ხანიშვილი (გორი), 3. ელდარ დეგეტაშვილი, გიორგი ბახტურიძე (ორივე — თბილისი); *57 კგ:* 1. ბაჩუკი კოდიანი (ზესტაფონი), 2. დავით ბარათაშვილი (ხაშური), 3. ლევან ციციშვილი (თბილისი), თემურ ნეფარიძე (ქუთაისი); *62 კგ:* 1. ვახტანგ თოთლაძე (რუსთავი), 2. ალეკო ჩახუნაშვილი (ვანი), 3. ხვიჩა ყურავა (რუსთავი), ჯაბა კავთუაშვილი (მარტყოფი); *68 კგ:* 1. ლევან ჭიაბრიშვილი (საგარეჯო), 2. ნიკო ზაუტაშვილი (გორი), 3. სულიკო ანცარიძე (ქარელი), დავით ბოდაველი (თბილისი); *74 კგ:* 1. ნიკო ბიბილაშვილი (გორი), 2. ლევან ანთაძე (ფოთი), 3. მიხეილ ჯავახიშვილი (მარტყოფი), მერაბ ვაშაყმაძე (ქუთაისი).
ჭაბუკები. *48 კგ:* 1. ლაშა მიქაბერიძე (ფოთი), 2. მერაბ ლაგვილავა (ხობი), 3. ალექსი გილაშვილი (საგარეჯო), თორნიკე ბურჯიანი (ქუთაისი); *52 კგ:* 1. თამაზ ნეფარიძე (ქუთაისი), 2. ნოდარ მჭედლიშვილი, 3. ივანე ოდიშვილი, გია ადუაშვილი (სამივე — საგარეჯო); *56 კგ:* 1. თემურ ნეფარიძე (ქუთაისი), 2. დავით პეტრიაშვილი (რუსთავი), 3. გია დარისპანაშვილი (თბილისი), გელა მლებრიშვილი (კასპი); *60 კგ:* 1. ირაკლი დუნდუა (თბილისი), 2. ჯემალ გელაშვილი (რუსთავი), 3. პაატა ახალკაციშვილი (მარტყოფი), ლაშა სანაია (თბილისი); *65 კგ:* 1. გიორგი კბილაშვილი (თბილისი), 2. ნიკა ჯიქურაული (დუშეთი), 3. რამაზ გიუნაშვილი (მარტყოფი), თემურ ბიჩიაშვილი (თბილისი); *70 კგ:* 1. სოსო მუკბანიანი (წყალტუბო), 2. გიორგი ნოზაძე (ხაშური), 3. ალექსი ჯღამაძე (ფოთი), გიორგი თოთლაძე (ქარელი); *75 კგ:* 1. ლევან ანთაძე (ფოთი), 2. თამაზ კოპალიანი (წყალტუბო), 3. გელა დორეული (საგარეჯო), გიორგი ხიზანიშვილი (გორი), *81 კგ:* 1. ავთანდილ ზვიადაური (ახმეტა), 2. ზვიად ჩაგელიშვილი (თბილისი), 3. შმაგი ბერბერაშვილი (დუშეთი), ყარამან ჯავახიშვილი (თბილისი); *87 კგ:* 1. ზურაბ ასლანიკაშვილი (წყალტუბო), 2. გიორგი ტიგინაშვილი (საგარეჯო), 3. ზურაბ კუდუხაშვილი (თბილისი), გიორგი ტლაშაძე (გორი); *+87 კგ:* 1. მიხეილ ჩხეიძე (თბილისი), 2. გიორგი ლოლაძე (საგარეჯო), 3. დავით დათუაშვილი, გიორგი გოგოლაური (ორივე — თბილისი).

მიხეილ ფუფუნავა

სპორტი და სახელმწიფო

ვფიქრობთ, „ლელოს“ მკითხველებისთვის საინტერესო იქნება გაეცნოს თუ რომელ ქვეყანაში სპორტის სფეროში მმართველობის რა ფორმაა დანერგილი და როგორია მისი სახელმწიფო სტატუსი. აქვე დავძენთ, რომ მეტწილად სპორტი ან ამა თუ იმ სამინისტროს შემადგენლობაშია ან უშუალოდ სახელმწიფო სტრუქტურის მმართველობის რგოლის დაქვემდებარებაში. მაშ ასე, სახელმწიფო, სპორტი და დაქვემდებარება:

ალბანეთი, ხორვატია, სლოვენია — განათლებისა და სპორტის სამინისტრო
ანდორა, ჩეხეთი — განათლების ახალგაზრდობის და სპორტის სამინისტრო
ავსტრია, მონაკო — სახელმწიფო კანცელარია
ბელარუსი — სპორტისა და ტურიზმის სამინისტრო
ბოსნია ჰერცოგოვინა — განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
ბულგარეთი— ფიზიკური განათლებისა და სპორტის კომიტეტი
ლიტვა — ფიზიკური განათლებისა და სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი
ლუქსემბურგი — ფიზიკური განათლებისა და სპორტის სამინისტრო
კვიპროსი, ესპანეთი — განათლებისა და კულტურის სამინისტრო
მაკედონია — განათლების და ფიზიკური კულტურის სამინისტრო
სლოვაკეთი — განათლების სამინისტრო...

გაგრძელება „ლელოს“ შემდეგ ნომერში





ნაგანოს ექო

დახვედრა დამსახურების წილ

ნაგანოში ზამთრის XVIII ოლიმპიურ თამაშებზე თანამედროვე საინფორმაციო ტექნიკის უახლესი მოდელები იყო წარმოდგენილი. პერსონალური კომპიუტერული სისტემის გამოყენებით ჟურნალისტებს შესაძლებლობა ჰქონდათ დაუყოვნებლივ და დაუბრკოლებლად გადა ეცათ როგორც ტექსტობრივი ინფორმაცია, ისე ვიდეო და ფოტომასალები *(იხ. სურათი).* მარჯვენა ფოტოზე კი აღბეჭდილია სპეციალური ვიდეოკარადა, რომლის მეშვეობით ყველას შეეძლო განმეორებით ეხილა ასპარეზობების მისთვის საინტერესო პროგრამა თუ სხვა ვიდეოდოკუმენტი.

11 მედალი (მათ შორის 5 ოქროსი) მოიპოვეს ზამთრის ოლიმპიადაზე ჰოლანდიელებმა, რაც რეკორდული რიცხვია მათ ისტორიაში. ყველა ჯილდო მოციგურავეთა დამსახურება გახლდათ.

სამშობლოში ნიდერლანდების ნაკრების წევრებს ისე დახვდნენ, როგორც ეროვნულ გმირებს. ისინი სასახლეში მიიღო დედოფალმა ბეატრიქსმა. სპორტსმენებმა ღია ავტომანქანებით ჩაიარეს ჰაგის ცენტრალური ქუჩებში, სადაც მათ ათიათასობით ქალაქელი თუ სტუმარი მიესალმა და სუვენირები და ნაირნაირი ტკბილეული მიართვა.

ციგურებით ჩქაროსნულ რბენაში ოლიმპიურ ჩემპიონებს მარიანე ტიმერს, ჯანი რომეს და იდს პოსტმას ნიდერლანდური ლომის ორდენის რაინდობა ებოძათ. ქალაქ ჰერენვენის ყინულის სასახლეში მეჯლისი გაიმართა ჰოლანდიის ნაკრების საპატივცემულოდ.

უფრო ადრე კი სასახლეოდ დაბრუნებულ შვილებს მშობლიურ ქალაქებში მოუწყეს მხურვალე შეხვედრა. ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი მარიანე ტიმერი სამოქალაქო თემის საპატიო წევრი გახდა და ჯილდოდ დიდი თეთრი ცხვარი მიიღო: მამამისი მეცხვარეობას მისდევს, ხოლო თვით მოციგურავისათვის თურმე თავისუფად დროს ცხვრის მოვლა ერთ-ერთი საყვარელი საქმიანობა ყოფილა. კიდევ ერთ ორგზის ოლიმპიურ ჩემპიონს ჯანი რომეს თავის ქალაქ მადეში მერიის საპატიო ჯილდო — ვარსკვლავი მიეკუთვნა. ქალაქ დეერსუმის მცხოვრები იდს პოსტმა კი ამიერიდან საპატიო მოქალაქის წოდების მატარებელი იქნება.

ფეხბურთი • საქართველოს თასის VIII! გათამაშება • პირველი მეოთხედფინალური მატჩები

ფეხბურთს მოწყურებულმა მაყურებელმა ამ მატჩებისადმი დიდი ინტერესი გამოიჩინა. საკმარისია ითქვას, რომ სამტრედიაში, ფოთსა და ხობში თამაშებს 4-5 ათასი მაყურებელი ესწრებოდა (გამონაკლისს ზესტაფონის სტადიონი წარმოადგენდა — სწორედ აქ მიიღო „მაღაროელმა“ გორის გუნდი). და უნდა ითქვას, ფეხბურთელებს გულშემატკივრები არ გაუწბილებიათ, აჩვენეს რა ადრეული გაზაფხულისათვის ასე უჩვეულო ლამაზი სანახაობა. ოთხიდან ორი შეხვედრა მოულოდნელი შედეგით დასრულდა.

მთავარი სენსაცია სამტრედიაში მოხდა — ქართული ფეხბურთის უბირობო ლიდერი თბილისის „დინამო“ II ჯგუფის „იბერიასთან“ დამარცხდა ანგარიშით 0-1. „ლელოს“ იმერეთის ზონის კორესპონდენტის ინფორმაციით, მატჩი თანაბარ ორთაბრძოლაში წარიმართა. თბილისელები უმცროსჯგუფელებს, ცხადია, ოსტატობით და კლასით სჯობნიდნენ, მაგრამ მასპინძლები, სამაგიეროდ, ბრძოლის უინითა და აქტიურობით გამოირჩეოდნენ. დინამოელებს პირველი ნახევრის შუაწელში ანგარიშის გახსნის საუკეთესო შესაძლებლობა მიეცათ, როდესაც ქარელელმა მსაჯმა გურამ ასკარ-ოღლიმ სამტრედიელთა ერთ-ერთი მცველი საკუთარ საჯარიმოში ხელით თამაშისათვის 11-მეტრიანით დაჯარიმა. ჯარიმა რატი ალექსიძემ შეასრულა — ბურთი კარის ძელს მოხვდა. შეხვედრის მიწურულს უკვე თბილისელებმა დაარღვიეს წესი, რომ

ნაგანოს ექო

დახვედრა დამსახურების წილ

11 მედალი (მათ შორის 5 ოქროსი) მოიპოვეს ზამთრის ოლიმპიადაზე ჰოლანდიელებმა, რაც რეკორდული რიცხვია მათ ისტორიაში. ყველა ჯილდო მოციგურავეთა დამსახურება გახლდათ.

სამშობლოში ნიდერლანდების ნაკრების წევრებს ისე დახვდნენ, როგორც ეროვნულ გმირებს. ისინი სასახლეში მიიღო დედოფალმა ბეატრიქსმა. სპორტსმენებმა ღია ავტომანქანებით ჩაიარეს ჰაგის ცენტრალური ქუჩებში, სადაც მათ ათიათასობით ქალაქელი თუ სტუმარი მიესალმა და სუვენირები და ნაირნაირი ტკბილეული მიართვა.

ციგურებით ჩქაროსნულ რბენაში ოლიმპიურ ჩემპიონებს მარიანე ტიმერს, ჯანი რომეს და იდს პოსტმას ნიდერლანდური ლომის ორდენის რაინდობა ებოძათ. ქალაქ ჰერენვენის ყინულის სასახლეში მეჯლისი გაიმართა ჰოლანდიის ნაკრების საპატივცემულოდ.

უფრო ადრე კი სასახლეოდ დაბრუნებულ შვილებს მშობლიურ ქალაქებში მოუწყეს მხურვალე შეხვედრა. ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი მარიანე ტიმერი სამოქალაქო თემის საპატიო წევრი გახდა და ჯილდოდ დიდი თეთრი ცხვარი მიიღო: მამამისი მეცხვარეობას მისდევს, ხოლო თვით მოციგურავისათვის თურმე თავისუფად დროს ცხვრის მოვლა ერთ-ერთი საყვარელი საქმიანობა ყოფილა. კიდევ ერთ ორგზის ოლიმპიურ ჩემპიონს ჯანი რომეს თავის ქალაქ მადეში მერიის საპატიო ჯილდო — ვარსკვლავი მიეკუთვნა. ქალაქ დეერსუმის მცხოვრები იდს პოსტმა კი ამიერიდან საპატიო მოქალაქის წოდების მატარებელი იქნება.

ფეხბურთი • საქართველოს თასის VIII! გათამაშება • პირველი მეოთხედფინალური მატჩები

ფეხბურთს მოწყურებულმა მაყურებელმა ამ მატჩებისადმი დიდი ინტერესი გამოიჩინა. საკმარისია ითქვას, რომ სამტრედიაში, ფოთსა და ხობში თამაშებს 4-5 ათასი მაყურებელი ესწრებოდა (გამონაკლისს ზესტაფონის სტადიონი წარმოადგენდა — სწორედ აქ მიიღო „მაღაროელმა“ გორის გუნდი). და უნდა ითქვას, ფეხბურთელებს გულშემატკივრები არ გაუწბილებიათ, აჩვენეს რა ადრეული გაზაფხულისათვის ასე უჩვეულო ლამაზი სანახაობა. ოთხიდან ორი შეხვედრა მოულოდნელი შედეგით დასრულდა.

მთავარი სენსაცია სამტრედიაში მოხდა — ქართული ფეხბურთის უბირობო ლიდერი თბილისის „დინამო“ II ჯგუფის „იბერიასთან“ დამარცხდა ანგარიშით 0-1. „ლელოს“ იმერეთის ზონის კორესპონდენტის ინფორმაციით, მატჩი თანაბარ ორთაბრძოლაში წარიმართა. თბილისელები უმცროსჯგუფელებს, ცხადია, ოსტატობით და კლასით სჯობნიდნენ, მაგრამ მასპინძლები, სამაგიეროდ, ბრძოლის უინითა და აქტიურობით გამოირჩეოდნენ. დინამოელებს პირველი ნახევრის შუაწელში ანგარიშის გახსნის საუკეთესო შესაძლებლობა მიეცათ, როდესაც ქარელელმა მსაჯმა გურამ ასკარ-ოღლიმ სამტრედიელთა ერთ-ერთი მცველი საკუთარ საჯარიმოში ხელით თამაშისათვის 11-მეტრიანით დაჯარიმა. ჯარიმა რატი ალექსიძემ შეასრულა — ბურთი კარის ძელს მოხვდა. შეხვედრის მიწურულს უკვე თბილისელებმა დაარღვიეს წესი, რომ დესაც საჯარიმო მოედანში შეჭრილი ბიძინა ივეჩიანი უხეშად მოცელეს. პენალტი თვით დაზარალებულმა საუკეთესოდ გარდასახა. მატჩის ბოლო წუთები თბილისელთა იერიშებით წარიმართა, მაგრამ საწადელს ვერ მიაღწიეს. საყურადღებოა, რომ მსაჯმა ძირითად დროს კიდევ 5 წუთი დაამატა, იმდენად ბევრი იყო პაუზები მოთამაშეთა ტრავმების გამო.

ასევე „ზედმეტი“ ათამაშა ფეხბურთელები ახალგაზრდა არბიტრმა ლევან ფანიაშვილმა ფოთში. თუმცა, აქ ამ ამბავს არავითარი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. სტუმრებმა საქმე „ძირითად დროში“ მოათავეს, გაუტანეს რა სწრაფი კონტრშეტევების შედეგად ფოთელთა მეკარე მამუკა გვასალიას სამი უპასუხო გოლი. პირველ ტაიმში ეს ქორიძემ შესძლო, მატჩის დამთავრებამდე 8 წუთით ადრე შეტევაში ჩართულმა მცველმა ვერემჩუკმა მეორედ აიღო მასპინძელთა კარი, ხოლო 90-ე წუთზე მსაჯმა საბოლოოდ დემორალიზებული მასპინძლები პენალტით „დაასაჩუქრა“, რომელიც შელქაძემ გამოიყენა 3-0.

ხობში მეორეჯგუფელ კოლხებს შევნიერი საფეხბურთო გაკვეთილი ჩაუტარეს ბათუმის დინამოელებმა. შოთა ჭეიშვილის შეგირდებმა ყველა რგოლში დაჯაბნეს მასპინძლები და დამსახურებულად გაიმარჯვეს 5-0.

ზესტაფონში მასპინძლებმა — ჭიათურის მაღაროელებმა ვერაფერი დაუპირისპირეს გორელთა სწრაფ კონტრშეტევებს და დამარცხდნენ 1-2.

განმეორებითი სათასო მატჩები 10 მარტს გაიმართება, მაგრამ ამთავითვე ცხადია, რომ ნახევარფინალში გასვლა ფაქტობრივად განაღდებული აქვთ ბათუმის დინამოელებსა და თბილისელ სტუდენტებს. ვფიქრობთ, არც გორელ ფეხბურთელებს გაუჭირდებათ მიზნის მიღწევა. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს იბერიელთა და თბილისის დინამოელთა სიპასუხო შეხვედრა. ერთი მატჩის შედეგით ძნელია რაიმე კონკრეტული დასკვნა გამოიტანო ამ გუნდების შანსების შესახებ. ცხადია, დინამოელები უფრო სერიოზულად მიუდგებიან შემავალ ორთაბრძოლას და შეეცდებიან შელახული პრესტიჟის აღდგენას.

მძლეოსნობა • ზამთრის ეროვნული ჩემპიონატი

ახლებური მიდგომით...

როგორც ვიუწყებოდით, საქართველოს ზამთრის ეროვნული ჩემპიონატი თბილისში პროფკავშირების მძლეოსნობის მანეჟში გაიმართა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ პროგრამის მრავალფეროვნება შთამბეჭდავი იყო, ოღონდ ეგაა, ზოგიერთ სახეობაში თითო ან ორ-ორი მონაწილე გამოდიოდა. მაგალითად, 60 მ. ქალთა თარჯრბენში მხოლოდ ჭიათურელი ნატაშა კობერიძე დადგა სტარტზე და მანძილი 10,6 წამში გაირბინა. ეს ფაქტი გასახარიცაა და საწყენიც. ცხადია, უნდა მივესალმოთ, რომ ჭიათურაში გამოჩნდა ნიჭიერი გოგონა, მეორეს მხრივ კი საწყენია, რომ საქართველოში ამ პროგრამას შწვრთნელები გულგრილად ეკიდებიან. არადა, ტრადიციები ჩინებული გვქონდა. ასევე ერთი სპორტსმენი გამოდიოდა ქალთა სიმაღლეზე ხტომაში — თბილისელი ია დარახველიძე (160 სმ). ჩემპიონატი პირველად ჩატარდა სამ ჯგუფად. ასევე პირველად ჩათვლაში შედიოდა სათანიგო ნორმატივები, სპორტის ოსტატისა და ოსტატობის კანდიდატის მოთხოვნების შესასრულებლად კი დამატებით ქულებს არიცხავდნენ.

ქვარცხლბეკი

ქალები. ***60 მ:*** 1. მარინე ჯაადე (ახმეტა) — 8,1, 2. ლეილა საფაროვა (თბილისი — 3) — 8,1, 3. გვანცა ჯოჯუა (მცხეთა) — 8,2; ***200 მ:*** 1. ნინო ბაგაშვილი (თბ. — 1) — 25,9, 2. ჯოჯუა — 27,6, 3. კატია ბაევა (თბ.) — 27,9; ***400 მ:*** 1. ქეთინო აბრამიძე (ვანი) — 1.02,7, 2. ნინო ბურნაძე (ბორჯომი) — 1.03.0, 3. ბაევა (თბ.) — 1.03,4; ***800 მ:*** 1. აბრამიძე — 2.29,8, 2. სოფიკო გობოზოვი (ჭიათურა) — 2.30,2, 3. ბურნაძე — 2.30,1; ***1500 მ:*** 1. ნანა გუთნაიძე (ახმეტა) — 5.10,4, 2. თეა მოდებაძე (ვანი) — 5.16,1, 3. გობოზოვი — 5.18,4; ***3000მ:*** 1. გუთნაიძე — 10.56,7, 2. მოდებაძე — 11.21,6, 3. მაია ბექაურაიძე (ახმეტა) — 12.29,2; ***სპორტული სიარული. 5 კმ:*** 1. ტატიანა უანჩაველი — 31.26,2. 2. სოფიკო სულაბერიძე (ორივე — ქუთაისი) — 32.10,2; ***ამნათრბენი: 4X200:*** 1. ბორჯომი — 1.58,9,2. აჭარა — 2.03, 3, 3. ქუთაისი — 2.12,0; ***პირთვი:*** 1. მაკა ობოლაშვილი (გარდაბანი) — 12.08, 2. ქეთინო კოპალეიშვილი (ვანი) — 10.05, 3. რუსუდან ჭინჭარაული (საგარეჯო) — 10.01; ***სიგრძეზე ხტომა:*** 1. ბაგაშვილი — 5.15, 2. თეა ბუცხრიკიძე (ქუთაისი) 4.57, 3. ნათია ბაღდავაძე (თბ.) — 4.34.

ვაჟები. ***60 მ:*** 1. შამილ მამუდოვი — 6,7, 2. კახა ვაჩეიშვილი (ორივე — აჭარა) — 6,8, 3. ზურაბ ელიზბარიძე (ახმეტა) — 6,9; ***200 მ:*** 1. მამუდოვი — 22,8, 2. გიორგი ტაბატაძე (თბ). — 23,8, 3. ვაჩეიშვილი — 24,2; ***800 მ:*** 1. რამაზ ჩადუხელი (ბორჯომი) — 2.01,3, 2. რამაზ ბექაური (გარდაბანი) — 2.02,2, 3. დადაშ კუხალაშვილი (თბილისი — 1) 2. 04,7. ***1500 მ:*** 1. ზიგმუნდ ზილბერშტეინი (ახალციხე) — 3.59,4, 2. ბექაური — 4.18,5, 3. ერიკ კირიუჭჩიანი (ახალციხე) — 4.21,2; ***3000 მ:*** 1. ზილბერშტეინი — 8.35,8, 2. ჰამლეტ მამიკონიანი (თბ. — 2) — 8.50,9, 3. მიხეილ შევჩენკო (ბორჯომი) — 9.35,7; სპორტული სიარული ***10 კმ:*** 1. ნუკრი ვალიშვილი (გარდაბანი) — 49.37,7, 2. დავით ონიაშვილი (აჭარა) — 52.46,4, 3. გიორგი ბარბაქაძე (თბ.) — 55.53,7; ***თარჯრბენი, 60 მ:*** 1. სერგო ტურიაკკო (ქუთაისი) — 8,4, 2. დავით ილარიონი (გარდაბანი) — 8,5, 3. დავით თოფჩიშვილი (თბ. — 2) — 9,1. ***ამნათრბენი. 4X200:*** 1. აჭარა — 1.39,0, 2. თბილისი (1) — 1.40,0, 3. გარდაბანი — 1.44,0; ***სიმაღლეზე ხტომა:*** 1. ილარიონი — 190, 2. გრიგოლ მდივანი (თბ. — 2) — 190, 3. გიორგი ყუშანი (თბ.) — 1.55. ***სიგრძეზე ხტომა:*** 1. მამუკა წიკლაური (თბ. — 1) — 6,90, 2. ვასილ მახარაძე (ქუთ.) — 6.67, 3. ზურაბ ელიზბარიძე (ახმეტა) — 6.58, ***პირთვის კვრა:*** 1. დავით მანთიძე — 14,73, 2. ძინდია ერქომაიშვილი (ორივე — ოზურგეთი) — 14,50, 3. გივი ჩიბურდანიძე (ქუთაისი) 10,60. ***სამხტომი:*** 1. ვასილ მახარაძე (ქუთაისი) — 15.61, 2. გიორგი კეტაშვილი (თბილისი) — 14,29.

ბუნდოვანი ადგილები: ***I ჯგუფი:*** თბილისი — 1370 ქულა, 2. აჭარა — 333,5, 3. ბორჯომი — 204; ***II ჯგუფი:*** 1. ახალციხე — 159, 2; ახმეტა — 111, 3. ჭიათურა — 89; ***III ჯგუფი:*** 1 აფხაზეთი — 55, 2. მარტვილი — 24, ხაშურმა შეფასება ვერ მიიღო.

მოსკოვი ჭაბუკთა მსოფლიო თამაშებისთვის ემზადება

მოსკოვს უდღესასწაულებო ცხოვრებისა არ სჯერა... იქ უკვე იფშვნეტენ ხელებს ახალი ღონისძიების — მსოფლიოს ჭაბუკთა თამაშების „ჩატკბარუნების“ მოლოდინში. მართალია, ეს ფორუმი მოზრდილთა ოლიმპიადას ვერ მიეზომება და ოლიმპიური სტატუსით ვერ დაიკვეხნის, მაგრამ არც სამზადისის გაქანებას უჩივის: რუსეთის დედაქალაქის სამხრეთ-დასავლეთით ახალი ულტრათანამედროვე ოლიმპიური სოფელიც კი წამოჭიმეს.

დღეისათვის თამაშების საორგანიზაციო კომიტეტში შესულია მსოფლიოს 140 ქვეყნის განაცხადი, რომელთა შორის საქართველოცაა. ეს ნიშნავს, რომ თამაშების გახსნის დღეს, 11 იელისს, მოსკოვს 5 ათასზე მეტი სპორტსმენი ეყოლება – ორჯერ მეტი, ვიდრე ნაგანოში იყო. შეჯიბრებათა ადგილზე მონაწილეებს სპეციალურად შეძენილი 500 ავტობუსი და მსუბუქი ავტომანქანა მიიყვანს. „სპორტული ტრანსპორტისთვის“ სათადარიგო ზოლი გამოიყოფა, მოსკოვში შესვლა შეიზღუდება. ქალაქის ცენტრში გაფართოვდება ავტოსადგომები, თამაშებისათვის მოზმობილი ყველა სპორტული ნაგებობა გაიწმინდება კომერციული სტრუქტურებისაგან. ორგანიზატორებმა კავშირგაბმულობაზეც იზრუნეს – რადიოტელეფონებითა და რაციებით აღიჭურვება ყველა სატრანსპორტო საშუალება და თამაშების მომსახურე პერსონალი. სპორტულ სარბიელებთან საორგანიზაციო კომიტეტის დასაკავშირებლად შეიქმნება სპეციალური ქსელი.

ცალკე საკითხია ტრიბუნების შევსება. ასპარეზობებზე დასწრების გარანტირებული უზრუნველყოფისათვის შეუშავებულია განსაკუთრებული პროგრამა „მაყურებელი“, რომელიც სპეციალურ ზომებს ითვალისწინებს სტადიონებზე მოსწავლეებისა და ტურისტების მოსაზიდად. ბილეთის მფლობელებს უფასოდ იმგზავრებს ნებისმიერ შეჯიბრებაზე. სხვათა შორის, ასე იყო ნაგანოშიც.

ოლიმპიურ სოფელს რაც შეეხება, ის შედგება 5 დიდი საცხოვრებელი კორპუსისაგან, რომელთა სიმაღლე ზ დან 25 სართულამდე მერყეობს. შენობების სხვადასხვასართულიანობა არქიტექტურული ჩანაფიქრია, სახლებს თურმე გამრუდებული კედლებიც ერთობ შვენის.

ტექნიკურად კომპლექსი მსოფლიო სტანდარტების დონეზეა აღჭურვილი. უზრუნველყოფილია შენობების სრული ტელეფონიზაცია, როგორც ადგილობრივი, ისე საქალაქო ქსელით გაყვანილია სპეციალური სიგნალიზაცია, ყველ სახლში გათვალისწინებულია სახანძრ ლოფტები. მშენებელთა აზრით, სახლები მტკიცედ არის ნაშენები და არ გაიზიარებს იმ მოსკოვურ ახალნაგებობათა ბედს, რომლებიც შარშან ერთმანეთის მიყოლებით ინგრეოდა.

სპორტული ნაგებობების უმეტესობა დახურულ შენობებშია განთავსებული – აქ არის საცურაო აუზიც, საწვრთნელი დარბაზიც, სპორტული მოედანიც, მოძრავი ტრიბუნაც. ნორმ სპორტსმენებს 3 დისკო-კლუბი, ფოტობარები აუშენეს, სათამაშო ავტომატები და საბილიარდო მოუწყვეს. სპეციალურ საველოსიპედო ბილიკზე შესაძლებელი იქნება არა მარტო დღისით, ღამითაც ისეირნო: ის სპეციალურად განათდება...

მოამზადა მერი სხირტლაძემ

დავით ყიფიანი ბელგიურ-ჰოლანდიური ვოიაჟის შესახებ

როგორც უკვე გაუწყეთ, თბილისის „დინამო“ 14-28 თებერვალს ბელგიაში იმყოფებოდა შეკრებაზე, დავით ყიფიანს კი შემდეგ ჰოლანდიაშიც მოუწია გამგზავრებამ და შინ დაბრუნებულს სწორედ ბელგიურ-ჰოლანდიური ამბები გამოკითხეთ.

— შეკრება მეტად ნაყოფიერი გამოდგა. საშუალება მოგვეცა დაგვენახვა თითოეული ფეხბურთელის შესაძლებლობა. ჩატარებულმა მატჩებმა გვიჩვენა, რომ მოვიკოჭლებთ სისწრაფეში, ჩვენი ფეხბურთელები სხვებზე ნაკლებად როდი დარბიან, მაგრამ სწრაფად აზროვნება, სწრაფად გადაწყვეტილების მიღება, საერთოდ სწრაფად თამაშში ჩამოვუვარდებოდით მოწინააღმდეგე გუნდებს. ისე, კი დინამოელთა ფიზიკური კონდიციების ტესტირების შედეგი დამაკმაყოფილებელია. „სტიაუასთან“ ურიგოდ არ გვიაპარეზია, თანაც ბელგიაში ჩასვლის მეორე დღესვე მოგვიწია თამაშმა, მსაჯმაც თავისი „წვლილი“ შეიტანა შედეგში.

● *შეკრებაზე გამგზავრებამდე თქვენ აღნიშნეთ, რომ „დინამოში“ მწვავედ დგას დაცვის ხაზის პრობლემა...*

— დაცვაში მართლაც სერიოზული პრობლემები გვაქვს, რაც გუნდიდან კალაძის წასვლითაც არის განპირობებული. ცენტრალური მცველის პოზიციაზე გამოვცადეთ გუჩუა და ქემოკლიძე (დაბადებულია 1980 წელს), რომლებმაც ნორმალური შთაბეჭდილება დატოვეს. თავდასხმაში კი ხომერიკს ურიგოდ ნაღდად არ უთამაშია.

● *კიდევ რითი იყო მნიშვნელოვანი ეს შეკრება?*

— დავინახეთ ის ხარვეზები, რაც „დინამოს“, და საერთოდ, ქართულ კლუბებს ახასიათებს. ევროტურნირებზე ჩვენს კბილა გუნდებს — მოსკოვის „ტორპედოს“, „მიოლდეს“ კი ვამარცხებთ, მაგრამ, როგორც კი საშუალო ევროპული დონის გუნდთან მოგვიწევს პაექრობა, ვერაფერს ვხდებით, რადგან ჩვენს ეროვნულ ჩემპიონატში დიდ წინააღმდეგობებს ვერ ვაწყდებით. ბელგიაში კი, როგორც იცით, „სტიაუას“ გარდა ჰოლანდიისა და ბელგიის უმაღლესი ლიგის კლუბებს შევეჯიბრეთ.

დღეში ვატარებდით სამჯერად ვარჯიშს, რადგან ამისთვის ყველა პირობა გვქონდა შექმნილი. თამაშის დღესაც კი ვვარჯიშობდით.

● *ბატონო დავით, „აიაქსი“ — „სპარტაკის“ მაჯაზე რას გვეტყვით?*

— „აიაქსმა“ უხეში შეცდომების შედეგად წააგო შეხვედრა და არა მარტო დაცვის ხაზის გამო: თავი იჩინა აგრეთვე მეტოქის სათანადოდ შეუფასებლობის მომენტმა და სამი მცველით თამაშმაც არ გაუმართლა. უნდა აღინიშნოს მსაჯობაც — როცა ანგარიში გაიხსნა, არ დაფიქსირდა ერთ-ერთი სპარტაკელის პასიური თამაშგარე, შოთას წაქცევისთვის კი ასპროცენტიანი პენალტი არ დაიდო. საერთოდ კი „აიაქსს“ ბევრი მუშაობა და შემადგენლობის გაძლიერება მართებს, რათა ნამდვილ სუპერკლუბად ჩამოყალიბდეს.

● *გიორგი მიქაძის გარდა ხომ არ აპირებს „აიაქსი“ სხვა დინამოელების მიწვევას სტაჟირებაზე?*

— ჯერჯერობით არა. თუმცა ახალგაზრდა ქართველი ფეხბურთელებით დაინტერესება შეიმჩნევა როგორც ჰოლანდიაში, ისე ბელგიაშიც.



* * *

ბელგიურ-ჰოლანდიური ვოიაჟის გარდა დავით ყიფიანმა ქართული ფეხბურთის გლობალურ პრობლემებზეც ისაუბრა. მან აღნიშნა, რომ ჩვენთან აუცილებლად უნდა ჩამოყალიბდეს ფეხბურთელთა ტრანსფერების ცივილიზებული სისტემა, რაც დღესდღეობით საიდუმლო ბაზარს წარმოადგენს. ქართველ ფეხბურთელთა მიგრაციის შედეგად „დინამოდან“ სეზონის დაწყების შემდეგ შვიდი ფეხბურთელი წავიდა, ხოლო კიევის „დინამოს“ პრეზიდენტი სურკისი ასაკოვან ლუჟნის გაყიდვასაც არ აპირებს, რომელშიც გვარიან თანხას სთავაზობენ ინგლისური კლუბები. ჩვენ კი წამდაუწუმ ახალი გუნდის შექმნა გვიწევს...

დათო თავართქილაძე

UEFA ევროპის საკლუბო ჩემპიონატები

პირველი მეოთხედფინალური მატჩები

უეფას თასი

ლაციო (იტალია) — ოსერი (საფრანგეთი) 1-0
კაზირაგი (64)

ატლეტიკო (ესპანეთი) —ასტონ ვილა (ინგლისი) 1-0
ვიერი (41 პენ.)

ინტერი (იტალია) — შალკე-04 (გერმანია) 1-0
რონალდო (16)

აიაქსი (ჰოლანდია) — სპარტაკი (რუსეთი) 1-3
0-1, 0-2 შირკო (26,52), 1-2 არველაძე (57), 1-3 კეჩინოვი (84)

მასპინძელთა გუნდისათვის ეს მატჩი ევროტურნირებში საიუბილეო, მეორასე იყო, მაგრამ ზეიმი ჩაუშწარდათ. ამაში სრულებითაც არ იყო დამნაშავე ქართველი ლეგიონერი შოთა არველაძე, რომელიც მასპინძელთა შორის საუკეთესო გახლდათ. პრინციპში მან თავისი საქმე ფრიადზე შეასრულა: კვლავ გაიტანა. გოლი, რომელიც უეფას თასის ამჟამინდელ გათამაშებაში მეშვიდე აღმოჩნდა.

მატჩის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე „აიაქსის“ მთავარმა მწვრთნელმა მორტენ ოლსენმა თქვა: „ეს იყო ყველაზე საშინელი საღამო, რომელიც ჩემს სამწვრთნელო კარიერაში ოდესმე მქონია. ყველაფერი მატჩის დასაწყისშივე გადაწყდა. სპარტაკელებმა გაამართლეს ჩემი მოლოდინი და კარგად ითამაშეს, მაგრამ ამაში, ცხადია, მასპინძლები დაეხმარენ. ასეთ მიამიტურ შეცდომებს დიდი გუნდები არ უნდა უშვებდნენ.“

მიმომხილველთა აბსოლუტურ უმრავლესობას მიაჩნია, რომ განმეორებით შეხვედრაში „აიაქსს“ არავითარი შანსი არა აქვს. მათ ეთანხმებიან მოთამაშეები დენი ბლინდი, ფრენკ და რონალდ დე ბურები, ტიჯანი ბაბანგიდა. ამათ ფონზე გულუბრყვილოდ მოსჩანს მორჯენ ოლსენის სიტყვები: „ჰოლანდიურ კლუბს ჯერ კიდევ შესწევს ძალა გავიდეს ნახევარფინალში. მოსკოვში ტურისტად არ წავალთ... თუკი იქ თავიდანვე ისე შევუტევთ, როგორც ეს მეორე ტაიმის დასაწყისში შევძელით, ვფიქრობ, საქმესაც აუცილებლად ეშველება“.

ცხადია, სამშობლოში დაბრუნებულ მოსკოველ ფეხბურთელებს აღტაცებით შეხვდნენ. დიდი კმაყოფილება გამოუთქვამს თვით ქვეყნის პრეზიდენტს ბორის ელცინს.

გულშემატკივრის აზრი

დიდი ინტერესით ველოდი „აიაქსის“ შეხვედრას მოსკოვის „სპარტაკთან“, მით უმეტეს, რომ მასპინძელთა შემადგენლობაში გამოდიოდა ჩვენებური – შოთა არველაძე. „აიაქსის“ თამაშმა გული დამწყვიტა. არაფერი საერთო კრუიფისა და ნეესკენსის „დიდ გუნდთან“, გამაკვირვა დაცვის სუსტმა არაორგანიზებულმა თამაშმა, უღიმღამოდ გამოიყურებოდა თავდასხმაც. სად იყვნენ ნაქები ლაუდრუპი და ბაბანგიდა? ყველას ისევ შოთა სჯობდა, მაგრამ სასაყვედურო მის მიმართაც უნდა ითქვას, იგი ხომ თავდასხმის ცენტრალური ფიგურაა, მისი „წვეტი“. ამიტომ მას ევალება გაცილებით უფრო ხშირად აიღოს თავის თავზე თამაში. შოთას მოსდგამს ნიჭიც და უნარიც მეტოქის კარის ინდივიდუალური დალაშქვრისთვის. იმ დღეს კი, იგი თითქოს ცდილობდა რაც შეიძლება მალე მოეშორებინა ბურთი და სხვისთვის დაეკისრებინა უკანასკნელი, გადამწყვეტი სიტყვის თქმა. ვფიქრობ, ეს შენიშვნა მან უნდა გაითვალისწინოს მომავლისათვის, როგორც საქართველოს ნაკრების თავდასხმის ლიდერმა, ხომ მასზე დიდ იმედებს ვამყარებთ!

„სპარტაკის“ თამაში კი ყოველმხრივ იმსახურებს ქებას, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს იყო მისი პირველი მატჩი ამ სეზონში.

გულგათ ტორაძე

ჩემპიონთა ლიგა

იუვენტუსი (იტალია) — დინამო (უკრაინა) 1-1
გუსინი (57), ინძაგი (76)

ლევერკუზენი (გერმანია) — რეალი (ესპანეთი) 1-1
ბაინლიხი (18), კარამბუ (74)

ბაიერნი (გერმანია) — დორტმუნდი (გერმანია) 0-0

მონაკო (საფრანგეთი) — მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი) 0-0

თასეგის თასი

ბეტისი (ესპანეთი) — ჩელსი (ინგლისი) 1-2
0-1, 0-2 ფლო (8, 12), 1-2 ალფონსო (46)

სლავია (ჩეხეთი) — შტუტგარტი (გერმანია) 1-1
1-0 ვაკა (40), 1-1 პოშნერი (51).

როდა (ჰოლანდია) — ვიჩენცა (იტალია) 1-4
0-1 ლუიზო (17), 0-2 ბელოტი (29), 0-3 ლუიზო (39), 0-4 ოტერო (68), 1-4 პეტერსი (73).

აეკ (საბერძნეთი) — ლოკომოტივი (რუსეთი) 0-0

FRANCE 98 INFORMATIONS

არიელ ორტეგა: არგენტინელი ჩოჩორი საფრანგეთში ბევრ მეკარეს გაამწარებს

ბრაზილიაში წესად იქცა, გაჩნდება თუ არა ახალი საფეხბურთო ტალანტი, მას პელეს ადარებენ, უნგრეთში – პუშკაძს, საფრანგეთში – პლატინის, გერმანიაში – ბეკენბაუერს. არგენტინაში, ცხადია, ეტალონად მარადონაა. გამოჩნდა თუ არა საფეხბურთო ჰორიზონტზე *არიელ ორტეგა*, იმთავითვე დიდი მომავალი უწინასწარმეტყველეს, ზოგიერთები იქამდეც კი მიდიან, მას „მეორე მარადონას“ უწოდებენ. თავის დიდ წინამორბედს ორტეგა ბრწყინვალე დრიბლინგით, პასის უდიდესი კულტურით და გოლების გატანის უნარით მოგაგონებთ. და, რაც მთავარია, არიელი მარადონასავით მყარად დგას მინდორზე, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს იგი მიწასთანაა შერწმული. ამ თვისებებს ორტეგა უთუოდ რაგბს უნდა უმადლოდეს – როდესაც შეატყო, რომ ამ სპორტისათვის ესოდენ აუცილებელ ტანს ვერ აიყრიდა, იძულებული გახდა ფეხბურთში ეცადა ძალა. საფეხბურთო მიმომხილველები თვლიან, რომ ორტეგას მარადონასნაირი წარსული აქვს: ორივემ ძალიან ახალგაზრდამ ზიდა ლიდერის ჭაპანი. არიელმა არგენტინის ჩემპიონატში გამოსვლა 17 წლისამ დაიწყო, ხოლო 7 სეზონის განმავლობაში 58-ჯერ ითამაშა ეროვნულ ნაკრებში. ესპანური „ელ პაისის“ რეპორტიორმა ძლივს დაიყოლია ორტეგა მოკლე ინტერვიუზე.

● *„რივერ პლეიტში“ თქვენი პირველი გამოსვლა კარგად გახსოვთ?*

— რასაკვირველია! ეს ხომ ჩემს ცხოვრებაში საუკეთესო წუთები იყო. როდესაც დანიელ პასარელამ გამომიცხადა „პლატენსეს“ წინაადმდეგ უნდა გათამაშოო, ლამის გადავირიე მღელვარებისაგან. მაშინათვე დავრეკე სახლში, მეგობრებთან, ნაცნობებთან, მოკლედ, ქვეყანას მოვდე. „რივერ პლეიტს“ ჩემპიონის ტიტული გარანტირებული ჰქონდა, ამიტომ გამომიშვეს მე მინდორზე საფინალო სასტვენამდე 5 წუთით ადრე. თუ არ ვცდები, ამ 5 წუთში მხოლოდ ორჯერ შევეხე ბურთს, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა ჰქონდა!

● *ქვეყნის ნაკრებში დებიუტზე რას იტყვით?*

— თითქმის იგივეს. მაიამიში 1993 წლის დეკემბერში ამერიკის მსოფლიო ჩემპიონატისთვის ვემზადებოდით და ამხანაგურ მატჩს ვეთამაშებოდით გერმანიას. ბოლოსწინა წუთზე ტრავმა მიიღო ჩვენმა ფორვარდმა რამონ ბელომ და მინდორზე მის ნაცვლად მე გამომიყვანეს. არგენტინელებმა ეს შეხვედრა კი მოიგეს ანგარიშით 2-1, მაგრამ ამაში ჩემი დამსახურება, ცხადია, სულაც არ იყო.

● *როდესაც ფეხბურთის თამაშს იწყებდით, გჯეროდათ, რომ ოდესმე ქვეყნის საუკეთესო კლუბის დირსებას დაიცავდით?*

— ჯერ კიდევ მაშინ, პატარა რომ ვიყავი, ყველას ვეუბნებოდი – ვითამაშებ „რივერ პლეიტში“ და არგენტინის ნაკრებში, მაგრამ ჩემი არავის სჯეროდა. ახლა მინდა ყველა ურწმუნოს გავახსენო მათი დამცინავი ღიმილი...

● *როგორ მოხვდით შორეული პროვინციიდან დედაქალაქში?*

— თამაში კლუბ „ლედესმაში“ დავიწყე, რომელიც შაქრის ქარხანას ეკუთვნოდა – იქ მამაჩემი მუშაობდა. პროვინციის პირველობაზე 14 წლისა ვთამაშობდი დიდი ფეხბურთელების გვერდით! 1991-ის იანვარში კი ჩვენი გუნდის მწვრთნელის რობერტო გონსალესის რეკომენდაციით გავეშურე ბუენოს-აირესში „რივერ პლეიტის“ მეორე შემადგენლობაში გასასინჯად. დედაქალაქში მოეწონათ ჩემი დრიბლინგი და იმთავითვე ხელი მომაწერინეს კონტრაქტზე და გამომიყვეს ადგილი საერთო საცხოვრებელში.

● *მშობლებისგან რაიმე წინააღმდეგობა ხომ არ გქონიათ?*

— არა, ოჯახში ყველას უყვარს ფეხბურთი, თანაც მამაჩემი ადრე ფეხბურთს თამაშობდა, როდესაც ადგილი დავიმკვიდრე „რივერ პლეიტის“ ძირითად შემადგენლობაში, მამამ სამსახურს თავი დაანება და ოჯახი დედაქალაქში გადმოვიდა საცხოვრებლად. ალბათ, ჩემიანები ძალიან ბედნიერები არიან, რომ მე ფეხბურთელობას მოვკიდე ხელი – ყველანი მატერიალურად უზრუნველყოფილები ვართ.

● *გუნდში თქვენ ჩოჩორს გეძახიან, ისევე როგორც ადრე მამათქვენს.*

— დიახ, არგენტინაში ყველა ვერ გეტყვით, ვინ არის ორტეგა, სამაგიეროდ, იცნობენ ბურიტოს – ჩოჩორს. ასე დაარქვეს ადრე მამაჩემს, ფეხბურთს რომ თამაშობდა, ეს სახელი მემკვიდრეობით მეც მერგო. საერთოდ, არგენტინაში ეს ნორმალური ამბავია: ყოველ მოთამაშეს აქვს სახუმარო სახელი. ხშირად საფეხბურთო კომენტატორებიც ამ მეტსახელებს ხმარობენ, ნამდვილ გვარებს იშვიათად იყენებენ.

● *მინდორზე თქვენ სხვადასხვა ფუნქციებს ასრულებთ. ბოლოს და ბოლოს, რა ჰქვია ორტეგას ამპლუას?*

— ყოველთვის ვთამაშობდი ან მინდვრის შუაგულში, ან წინა ხაზზე. ჩემთვის სულ ერთია, რა პოზიციაზე გავდივარ. ყოველი ამპლუა თავისებურად მიმზიდველია. მინდვრის შუაგულში უფრო ხშირად ფლობ ბურთს, მაგრამ თავდასხმაში თამაშისას უფრო მეტი შანსი გაქვს გაიტანო გოლი. ყველაზე ხშირად ფორვარდების უკან მათამაშებენ: ჩემი ამოცანაა ბურთი მივიღო სადღაც მოედნის ცენტრსა და მეტოქის საჯარიმო მოედანთან და შევასრულო სახიფათო გადაცემა. როგორც წესი, ეს მე კარგად გამომდის.

● *მცველები ბევრს უხეშობენ თქვენს წინააღმდეგ...*

— არა მხოლოდ ჩემს წინააღმდეგ. ხალხი სტადიონზე მოდის იმ იმედით, რათა იხილოს ლამაზი თამაში, გატანილი გოლები, მაგრამ ეს იშვიათობად იქცა. ძალიან ბევრი „ჭუჭყიანი ილეთია“, თამაშის შეჩერებები – ამით ფეხბურთი სანახაობრივად ძალიან აგებს. ვფიქრობ, მსაჯებმა ასეთ ამბებს ყურადღება უნდა მიაქციონ.

● *თამაშში რა მომენტები გსიამოვნებთ?*

— როდესაც გაგაქვს გოლი ან ასრულებ საგოლე პასს, განუმეორებელ სიამოვნებას გრძნობ. მოიპოვო გამარჯვება, ეს ენით აუწერელია!

● *უკვე ერთი წელია, რაც ევროპაში გადახვედით. ძნელია არგენტინულიდან ესპანურ ფეხბურთზე გადასვლა?*

— სიმართლე გითხრათ, დიდ განსხვავებას ვერ ვხედავ. ერთადერთი, მაყურებელშია განსხვავება, ევროპაში უფრო წყნარი გულშემატკივრები არიან.

● *ვინ გაიმარჯვებს საფრანგეთში?*

— რასაკვირველია, არგენტინა. „H“ ჯგუფში ხორვატებს, იაპონელებს და იამაიკელებს გაცილებით სუსტი გუნდი ჰყავთ, ვიდრე ჩვენ.

ვფიქრობ, ამ მსოფლიო ჩემპიონატზე მე, არგენტინელი ჩოჩორი, ბევრ მეკარეს გავამწარებ.

FRANCE 98
COUPE DU MONDE

ირანი

ფინალში იღბლიანად გავიდნენ

ირანის ნაკრები ერთხელ უკვე მონაწილეობდა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში. ეს მოხდა 1978 წელს. ირანელების წარმატება მაშინ სპორტულმა სამყარომ სრულიად დამსახურებულად მიიჩნია, მით უმეტეს, რომ გუნდი აზიის სამგზის (1968, 1972, 1976 წლებში) ჩემპიონი იყო. ამის შემდეგ, რა თქმა უნდა, ბევრმა წყალმა ჩაიარა. ახლა ირანელები მეორედ ითამაშებენ ფინალში...


ტომოსლავ ივიჩი

ირანის ფეხბურთის ფედერაცია დაარსდა 1922 წელს, ფიფას წევრია 1948 წლიდან, 1958 წელს შევიდა აზიის ფეხბურთის ფედერაციაში. 40-მილიონიან ქვეყანაში დაახლოებით 6400 კლუბია, 300 ათასამდე მოყვარული ფეხბურთელი. ადრე (შაჰის მმართველობის დროს) ირანელები დროდადრო ატარებდნენ საკმაოდ ძლიერ საერთაშორისო ტურნირებს. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს შეჯიბრება, რომელიც ირანის სახელმწიფოს დაარსების 2000 წლისთავს მიეძღვნა (1971), რომლის ფინალში ირანელებმა რუმინეთის ნაკრებს მოუგეს – 1-0.

ადრინდელი მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირისათვის ირანელები მწვრთნელ მოჰამედ მაული კოჰანის ხელმძღვანელობით ემზადებოდნენ. დასაწყისში მისი მეტოქეები იყვნენ სირიის, ყირგიზეთისა და მალდივის კუნძულების ნაკრებები. თუ სირიელებს არ ვიგულისხმებთ, რომლებიც ირანელებმა დამასკოში დაამარცხეს – 1-0, თეირანში კი მატჩი ფრედ – 2-2 დამთავრდა, დანარჩენმა ორმა გუნდმა ფავორიტებს სერიოზული წინააღმდეგობა ვერ გაუწია. ყირგიზებს ირანელებმა ორჯერ სძლიეს – 7-0, 3-1, მალდიველებთან კი პირდაპირ საარაკო ანგარიშები აღინიშნა. რად ღირს პირველი – 17-0, საერთოდ, სარეკორდო მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში. 7 ბურთი ამ შეხვედრაში ქარიმ ბაგერიმ გაიტანა, რომელსაც კარგად იცნობენ გერმანელი გულშემატკივრები. მეორე შეხვედრაში კი 9-0 აღინიშნა (აქ ბაგერი უკვე ორი გოლის ავტორი გახდა).

თუ პირველი შესარჩევი ეტაპი ნაკრებმა სრულიად იოლად გაიარა, სამაგიეროდ, ძალიან გაუჭირდა მეორე რაუნდში, აზიის უძლიერესი ნაკრებების „ა“ ჯგუფში. აქ ირანელების მეტოქეები იყვნენ საუდის არაბეთის, ჩინეთის, კატარისა და კუვეიტის გუნდები. მართალია, დასაწყისში საქმეები კარგად წარიმართა. ირანელებმა შეძლეს ერთ-ერთი კონკურენტის – ჩინეთის ნაკრების ორჯერ დამარცხება: დალიანში ანგარიშით 4-2, თეირანში (მატჩს 110 ათასი მაყურებელი ესწრებოდა!) კი ანგარიშით 4-1. საუდის არაბეთის ძლიერ ნაკრებთან მატჩი თეირანში (120 ათასი მაყურებელი!) შეხვედრა ფრედ – 1-1 დასრულდა. ეს გოლიც ბაგერიმ გაიტანა. კუვეიტთან გასვლითი მატჩის შედეგი იყო 1-1 (ბაგერი!), ხოლო კატარელებს თეირანში მოუგეს – 3-0 (ბაგერი – 2, დაუნი). ირანელები პირველ ადგილზე იყვნენ, მაგრამ ვერ შეძლეს მისი შენარჩუნება. ბოლო 3 შეხვედრაში გუნდმა მხოლოდ 1 ქულა მოაგროვა. ჯერ დამარცხდა ელ-რიადში საუდის არაბეთის ნაკრებთან – 1-2, საკუთარ მინდორზე ვერაფერი დააკლო კუვეიტის ნაკრებს – 0-0, რის შემდეგ რჩებოდა ერთადერთი შესაძლებლობა პირველი ადგილისათვის საბრძოლველად – საჭირო იყო სტუმრად დოხაში კატარის ნაკრების ძლევა. ამ დროს ირანის პრესაში გამოჩნდა ცნობები იმის შესახებ, რომ წამყვანი მოთამაშეები დაუპირისპირდნენ მწვრთნელ მოჰამედ მაული კოჰანს და გაფიცვით იმუქრებიან. ირანის ფეხბურთის მესვეურები შიშმა აიტანა და ფეხბურთელებს ბინებს დაჰპირდნენ, თუკი ისინი კატარის ნაკრებს დაამარცხებდნენ. არაფერი გამოვიდა. თამაშის დასაწყისში გატანილმა ორმა ბურთმა მასპინძლებს გამარჯვება მოუტანა.

ამრიგად, ირანის ნაკრები მეორე ადგილზე გავიდა. 8 მატჩიდან მან მოიგო 3, ამდენივე ფრედ დაასრულა, წააგო 2, ბურთების სხვაობით 18-8 საბოლოო ანგარიშით მოაგროვა 12 ქულა და ორით ჩამორჩა გამარჯვებულ საუდის არაბეთს. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ირანელებს გადამწყვეტი მატჩი მოელოდა. კიდევ ერთ აზიურ, ამჯერად „ბ“ ჯგუფში, იაპონელებთან.

ფინიშზე ასეთი მარცხის შემდეგ მწვრთნელ მოჰამედ მაული კოჰანს გუნდში აღარ დაედგომებოდა. იგი შეცვალა ბრაზილიელმა ვალდეირ ვიეირამ, რომელიც ცოტა ხნის წინ ირანში მიიწვიეს და სათავეში ჩაუყენეს ოლიმპიურ ნაკრებს. რა თქმა უნდა, ბრაზილიელი მძიმე ამოცანის წინაშე იდგა. იგი თვლიდა, რომ მოთამაშეებს არც კარგი ტაქტიკური მომზადება ჰქონდათ, არც სათანადო გამძლეობა. მოკლე დროში რაიმეს გაკეთება არ შეიძლებოდა. ერთადერთი, რასაც ვიეირამ მიაღწია, ეს იყო გუნდში საბრძოლო განწყობილების შექმნა. მოთამაშეები მინდორზე ნამდვილად თავდადებით იბრძოლებდნენ და თუკი მათ ცოტაოდენი იღბალიც ექნებოდათ...

მართალია, იღბალი მათ იაპონელებთან არა ჰქონიათ. 1997 წლის 16 ნოემბერს კუალა-ლუმპურში (მალაიზია) 22 ათას მაყურებელში სულ ცოტა იყო ადგილობრივი გულშემატკივარი. იაპონელებსა და ირანელებს კი 10-10 ათასიანი „ამალა“ ახლდათ. ეს მატჩი, როგორც ასეთ შემთხვევაში ხდება, შეიძლება სანახაობით არ გამოირჩეოდა, მაგრამ მეტისმეტად მძაფრი იყო. ირანელები, რომელთა შემადგენლობაში ამჯერად გამოირჩეოდნენ აზიის 1996 წლის №1 ფეხბურთელად აღიარებული ჰოდადად აზიზი და სნაიპერი ალი დაეი, მეტოქეს არ ჩამოუვარდებოდნენ, მაგრამ... 39-ე წუთზე ნაკაიამამ გახსნა ანგარიში. ასევე დამთავრდა პირველი ტაიმი. თამაშის მეორე ნახევარში ჯერ აზიზიმ (46-ე წ.), ხოლო შემდეგ დაეიმ (59-ე წუთზე) ირანელები წინ გაიყვანეს, 75-ე წუთზე კი ჯომ წონასწორობა აღადგინა – 2-2. დაინიშნა დამატებითი დრო, რომლის 118-ე წუთზე ოკანომ იაპონელებს საფრანგეთის საგზური მოუტანა – 3-2.

ქარიმ ბაგერი

არა, ჯერ ყველაფერი დაღუპული არ იყო. კიდევ რჩებოდა მსოფლიო პირველობაზე გამგზავრების საშუალება. დიახ, აზიის ზონის ახლართულდახლართული შერჩევითი სისტემა ერთ შესაძლებლობას კიდევ იძლეოდა. საამისოდ საჭირო იყო კიდევ ორ დამატებით გადამწყვეტ მატჩში ავსტრალიელებთან წარმატების მიღწევა.

ალი დაეი

პირველ მატჩს 22 ნოემბერს თეირანში 110 ათასი მაყურებელი დაესწრო (გავიხსენოთ, რომ ქალებს ირანში სტადიონზე შესვლის ნება არა აქვთ). დასაწყისში ავსტრალიელები უკეთ გამოიყურებოდნენ. მე-19 წუთზე ინგლისის „ლიდს იუნაიტედის“ მოთამაშემ ჰარი კიუელმა ანგარიში გახსნა. შემდეგ ინიციატივა მასპინძლების ხელში გადავიდა, რომელთა გუნდში განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ აზიზი და დაეი. შესანიშნავად თამაშობდა ავსტრალიელების მეკარე (ბირმინგემის „ასტონ ვილადან“) მარკ ბოსნიჩი. მართალია, აზიზიმ მე-40 წუთზე ანგარიში გაათანაბრა – 1-1, მაგრამ მეტის გაკეთება ვეღარ მოხერხდა. ამის შემდეგ მიმომხილველები მიიჩნევდნენ, რომ ტერ ვენეიბლსს თავი ქუდში ჰქონდა – მელბურნში ირანელებს ძალიან გაუჭირდებოდათ.

დიახ, 29 ნოემბერს მართლაც ძალიან გაუჭირდათ. ჟურნალისტების აზრით, მხოლოდ პირველ ათ წუთში ავსტრალიელებმა შექმნეს 7 (!) საგოლე მომენტი და შემდეგშიც დიდი უპირატესობა ჰქონდა. 48-ე წუთისათვის ანგარიში იყო 2:0 და 60 ათასი გულშემატკივარი ირანელების სრულ განადგურებას ელოდა. თამაშის შემდეგ ბევრს წერდნენ, რომ ოდნავ უფრო გამოცდილი (თუ უფრო პრაქტიკულად მოაზროვნე გუნდი ამ უპირატესობას აუცილებლად გამარჯვებამდე მიიყვანდა. სტადიონზე ყველა წინასწარ ზეიმობდა, მაგრამ თამაშის დამთავრებამდე სულ რაღაც 13 წუთით ადრე ავსტრალიელებს თავს ნამდვილი კატასტროფა დაატყდათ. სულ რაღაც 4 წუთში ჯერ ბაგერიმ, რომელსაც ახლა ბევრი „აზიის მარადონას“ უწოდებს, შემდეგ კი აზიზიმ გაათანაბრეს ანგარიში – 2-2. ამრიგად საფრანგეთში ავსტრალიელების მაგივრად ირანელები გაემგზავრებიან.

აი მათი ოპტიმალური შემადგენლობა დღეისათვის: ***მეკარე*** ახმად-რეზა აბელზადე (კლუბი „ფირუზი“), ***მცველები*** – მეჰდი მაჰდავიკია („ფირუზი“), მოჰამედ ჰაკპური (თამაშობს სინგაპურის კლუბ „გეილან იუნაიტედში“), აფშინ ფეიერავანი („ფირუზი“), რეზა შახრუდი (თამაშობს თურქეთის ცნობილ კლუბ „ალთაიში“), შუა ხაზი – ალირეზა მანსურიანი („ფირუზი“), მეჰრადად მინავანდი („ფირუზი“), ჰამიდ ესტილი (სინგაპურის „გეილან იუნაიტედი“), ქარიმ ბაგერი (ბუნდესლიგა, ბილეფელდის „არმინია“), ***თავდასხმა*** – ალი დაეი („არმინია“), ჰოდადად აზიზი (ბუნდესლიგა, „კიოლნი“).

როგორც ვხედავთ, ირანის ნაკრებში საკმაოდ არიან ლეგიონერები, რომელთა შორის, რა თქმა უნდა, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ბუნდესლიგის სამი წარმომადგენელი. ამასთან ვთქვათ ისიც, რომ ეს სამი ირანელი მსოფლიოს ამ ერთ-ერთ უძლიერეს ლიგაში საკმაოდ თვალსაჩინო როლს ასრულებს. ახლა, მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი სტადიის დამთავრების შემდეგ მათმა ფასმა კიდევ უფრო აიწია. ყველამ კარგად იცის, რომ ამ შესარჩევ თამაშებში იგივე ბაგერიმ 18 (!) ბურთი გაიტანა, მეტი, ვიდრე ნებისმიერმა სხვამ მთელ მსოფლიოში.

ირანელებს, ცხადია, მშვენივრად ესმით, რომ მათ ნაკრებს, რომლის მეტოქეები არიან გერმანიის, იუგოსლავიისა და აშშ-ს გუნდები, ფინალში ძალიან გაუჭირდებათ, მაგრამ შიში ადრევე დაეუფლათ. ეს თუნდაც იმით აღინიშნა, რომ მათ უნდობლობა გამოუცხადეს ბრაზილიელ სპეციალისტ ვალდეირ ვიეირას, რომელმაც გუნდი ფინალში გაიყვანა. მას წინადადება მიეცა ან ირანის ოლიმპიურ ნაკრებს დაბრუნებოდა, რომელსაც ადრე ხელმძღვანელობდა, ანდა, მეორე მწვრთნელად ემუშავა რომელიმე ახალ, განთქმულ სპეციალისტთან, რომელსაც ქვეყნის ფეხბურთის ფედერაცია მოიწვევდა. ვიეირამ თავი დამცირებულად ჩათვალა და საერთოდ დატოვა ირანი, ნაკრებს კი სათავეში ჩაუდგა ფეხბურთის სამყაროში კარგად ცნობილი სპეციალისტი, ტომისლავ ივიჩი.

ბივი თორელი

FRANCE 98 INFORMATIONS

უპირატესობას ვეტერანებს ანიჭებს

ხრისტო ბონევს ეროვნულ ნაკრებში თამაშების მიხედვით ბულგარეთში მეორე ადგილი უჭირავს – 96 მატჩი ითამაშა, ასიანთა კლუბამდე სულ ცოტაღა დააკლდა. ასიანთა კლუბში მხოლოდ, განთქმული მეკარე ბოროსლავ მიხაილოვია (101 მატჩი), რომელიც, თურმე კვლავ ნაკრებში ირიცხება, მაგრამ უპირატესობას ამჟამად სხვას (ზდრავლოვს) ანიჭებენ.

ბონევი ბულგარეთის ფეხბურთის მესვეურებს დაჰპირდა, რომ ნაკრებს საფრანგეთი-98-ის ფინალში გაიყვანდა და შეასრულა კიდეც სიტყვა.

● *რას ელით მსოფლიო ჩემპიონატისაგან?*

— თუ ადრინდელის გაუმჯობესებას არა, იმის გამეორებას მიანც, რასაც 4 წლის წინათ ამერიკაში მივაღწიეთ. იმედი მაქვს, ჩვენი ფეხბურთელები, რომლებიც მსოფლიოს საუკეთესო კლუბებში გამოდიან, ამ ჩემპიონატს მომზადებულები შეხვდებიან. დასაწყისისათვის გვინდა არა მარტო გავიდეთ „სიკვდილის ჯგუფიდან“, არამედ, პირველი ადგილიც კი დავაკავოთ. შემდეგ? მოვიგოთ, სანამ ძალა გვეყოფა.

● *რას იტყვით შემადგენლობის შესახებ?*

— ეს იქნება ახალგაზრდებისა და გამოცდილი მოთამაშეების შერწყმა. ნაკრების კარი ჯერჯერობით ყველასთვის ღიაა, ამასთან, ადრინდელი წარმატებები გასათვალისწინებელი არ იქნება. ვინც უკეთ ითამაშებს, ის წავა საფრანგეთში. მაგრამ ყველა სხვა თანაბარი პირობების შემთხვევაში, უპირატესობა მაინც გამოცდილებას მიენიჭება.

● *შეზობელ რუსეთში თავის დროზე მწვავედ იდგა ლეგიონერების პრობლემა. თქვენ როგორლა ფიქრობთ მის გადაწყვეტას?*

— ჩვენთან ეს პრობლემა არა დგას. ადრე ამ მხრივ ზოგიერთი სიძნელე გვქონდა, მაგრამ საჭირო გახდა მცირეოდენი დიპლომატია და ყველაფერი მოვაგვარეთ. ვენდობი იმ თანამემამულეებს, რომლებიც საზღვარგარეთ გამოდიან. ისინი, გამოცდილი ფეხბურთელები წამყვან კლუბებში ირიცხებიან. ყველას ძალიან სურს ნაკრებში წარმატებით გამოსვლა, „ბულგარეთის“ ხსენებაზე გული აუჩქროლდებათ ხოლმე.

● *როგორ მოემზადებით შეჯიბრებისთვის?*

— 11 მარტს მარ-დელ-პლატაში არგენტინელებს შევხვდებით, ორი დღის შემდეგ კი კოლუმბიელებს მარტის მიწურულში მაკედონიის ნაკრებს მივიღებთ. 22 აპრილს ხორვატიას ვეწვევით, ხოლო მსოფლიო ჩემპიონატის დასაწყისამდე, ერთი კვირით ადრე ალჟირელებს ვუმასპინძლებთ. ეს მატჩი ჩვენი შეკრების დროს მოეწყობა, რომელსაც 18 მაისს დავიწყებთ.

საშრეთაფრიკელები მსოფლიო ჩემპიონატზე ახალი მწვრთნელით გაემგზავრებიან

მაშ ასე, გადაწყვეტილია — სამხრეთ აფრიკის ნაკრების დროებითი მწვრთნელი ჯომო სონო პოსტს ტოვებს. 42 წლის ეს სპეციალისტი ორ თვეს ხელმძღვანელობდა გუნდს, რომელიც აფრიკის თასის ფინალში გაიყვანა. ცნობილია სონოს მემკვიდრეც — ფრანგი ფილიპ ტრუსიე.

ნორვეგიელები აღარ ხუმრობენ

ევრო-2000-ში საქართველოს ნაკრების მეტოქემ ნორვეგიის ეროვნულმა გუნდმა წაუგებლად ჩაატარა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი. ბურთების შესანიშნავი სხვაობით 21-2. სკანდინავიელებმა ამხანაგურ მატჩებშიც გამოიჩინეს თავი. ასე, სძლიეს თვით მსოფლიო ჩემპიონებს 4-2, ფრედ ითამაშეს ფრანგებთან 3-3.

ახლახანს ინტერნეტის საშუალებით გავრცელდა ინტერვიუ ნორვეგიის ნაკრებისა და „ევერტონის“ მეკარე თომას მერისთან. იგი თვლის, რომ ნორვეგიის ნაკრები საფრანგეთში გაცილებით უკეთ გამოვა, ვიდრე წინა მსოფლიო ჩემპიონატში: „დღეს უფრო ლამაზ, შემტევ ფეხბურთს ვთამაშობთ. ბევრი ფეხბურთელი ინგლისის პრემიერ-ლიგაში გამოდის და ბრძოლა უხდება სულ ცოტა 40 მატჩში მაინც. ამტომ გასაკვირი არაა ჩვენი ნაკრების სწრაფი პროგრესი. ძალგვიძს საფრანგეთში ნახევარფინალამდეც რომ მივაღწიოთ.“.

ქართველები საზღვარგარეთ

ბოლო დღეებია ინტერნეტის მეშვეობით ვღებულობთ მასალებს ამა თუ იმ ქართველი ფეხბურთელის გამოსვლის შესახებ.

გერმანია

ბუნდესლიგის ამბები ყველას გვაინტერესებს, მაგრამ ქართველ გულშემატკივრებს უფრო მეორე ბუნდესლიგის ასპარეზობა იზიდავს და ეს არცაა გასაკვირი — სატურნირო ცხრილის სათავეში აქ ხომ „ფრაიბურგია“ მოქცეული, გუნდი, სადაც წარმატებით გამოდის ექსდინამოელი *ალექსანდრე იაშვილი*. მეოცე ტურში „ფრაიბურგი“ შინ მეზუთე ადგილზე მყოფ „გიუტერსლოს“ ეთამაშებოდა. მატჩის დამთავრებამდე 11 წუთით ადრე იაშვილმა ულამაზესი, მაგარჯვების გოლი გაიტანა.

ბუნდების სატურნირო მდგომარეობა:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ფრაიბურგი	20	12	2	6	37-24	38
ნიურენბერგი	20	12	2	6	28-20	38
აინტრახტი	20	10	7	3	30-20	37

ალექსანდრე იაშვილი

ინგლისი

ამ ქვეყანაშიც ჩვენი მზერა მეორე ეშელონის გუნდებისკენაა მიმართული — „მანჩესტერ სიტი“, რომელიც ქართველი ლეგიონერების ნავსაყუდარია, ყველა ღონეს ხმარობს თავი დააღწიოს პირველი დივიზიონის აუტსაიდერთა რიგებს. თავისი 36-ე თამაში „სიტიმ“ სტუმრად „ჰადერსფილდთან“ გამართა და მოიგო 3-1. სამივე საგოლე გადაცემა ბერდსლიმ შეასრულა. სტუმართაგან მესამე გოლის ავტორი მცველი *კახა ცხადაძე* იყო, ვინც პირველად შეაგდო ბურთი ნისლიანი ალბიონის მიწაზე.

კახა ცხადაძე

სატურნირო ცხრილის ქვედა ნაწილი:

	თ.	ქ.
17. მანჩ. სიტი	36	39
18. რედინგი	35	39
19. ბარი	36	39
20. პორტსმუტი	35	37
21. ტრანშერი	34	37
22. ჰადერსფილდი	36	36
23. სთოუჩი	35	36
24. პორტვეილი	35	35

ბელგია

ამ ქვეყნიდან ჩვენამდე მოღწეული ბოლო ცნობით ბათუმის „დინამოსა“ და საქართველოს ეროვნული ნაკრების მცველმა *გელა შეყილაძემ* წარმატებით გაიარა სინჯები სატურნირო ცხრილში მეშვიდე ადგილზე მყოფ „ლიერსში“ და მალე ამ კლუბთან კონტრაქტსაც გააფორმებს.

არ გაუმართლა ქუთაისის ტორპედოელ *ლევან ქებაძეს* — ამ ნიჭიერმა ახალგაზრდა ნახევარმცველმა „ანტვერპენში“ სინჯებზე ფეხის ტრავმა მიიღო და სამშობლოში გამოემგზავრა.

საზღვარგარეთული ფეხბურთის ვარსკვლავები

ზოგჯერ ტრავმაც სასარგებლოა

სამოდე კვირის წინ იტალიის ნაკრებისა და ტურინის „იუვენტუსის“ ერთ-ერთმა წამყვანმა მცველმა ჩირო ფერარამ „ლეჩესთან“ მატჩში სერიოზული ტრავმა მიიღო. როდესაც „იუვენტუსი“ 3-1 იგებდა, სადავო ბურთისათვის ბრძოლაში მეტოქეთა მცველმა კონტაქტიომ მას ფეხი მოსტეხა. ოპერაცია დაშავებულის გაცოცხლების მიზნით გადაიდო და როცა გაკეთდა, ექიმების დასკვნა მძიმე განაჩენად გაისმა: ფერარა მინდორს, სულ ცოტა, ხუთი თვის შემდეგ დაუბრუნდება და მაშასადამე, კამპოტოვებს მსოფლიო ჩემპიონატს, რომლის ფინალში იტალიელები ასე ვაი-ნაჩრობით გავიდნენ.


ჩირო ფერარა

— ყველაზე საწყენი ის არის, რომ ორი წლის წინათაც ტრავმის გამო ვერ მივიღე მონაწილეობა ევროპის პირველობაში. გამოდის რომ, ყველაფერი, რაც საერთაშორისო ტურნირებს ეხება, ჩემთვის ასე დანავსული გამოდგება ხოლმე, — ამბობს უიღბლო ფეხბურთელი.

● *მაგრამ საფრანგეთში თქვენ მაინც წახვალთ, ხომ?*

— ნამდვილად წავალ, რაზეც მალდინისაც მოველაპარაკე და ნიკოლასაც. მწვრთნელთა საბჭოში შემიყვანენ და თუ გუნდს მინდორზე ვერ მოვეხმარები, მაშინ ამას სხვაგვარად გავაკეთებ.

● *თქვენ ამბობთ „თუ“? მაშასადამე, მინდორზე გამოსვლის იმედი ბოლომდე არ დაგიკარგავთ?*

— ექიმებმა, რომლებმაც ოპერაცია გამიკეთეს, სრულიად პატიოსნად განმიცხადეს: მკურნალობას დასჭირდება ოთხიდან ექვს თვემდე. ვნახოთ, ორიოდე თვეში გაირკვევა როგორ წავა საქმე. დავიდსის მაგალითი მახსოვს: იგი უმძიმესი ტრავმის შემდეგ განიკურნა და დაუბრუნდა კიდევ მინდორს; ეს კია, მკურნალობამ ნახევარი წელი გასტანა... ვნახოთ-მეთქი, ვიმეორებ.

● *მაგრამ „იუვენტუსის“ დახმარებას ჩემპიონთა ლიგაში და იტალიის პირველობაზე ნაღდად ველარ შეძლებთ.*

— ვაი, რომ ასეა. ორი წაგებული მატჩი — „ლაციოსთან“ სათასო და „ფიორენტინასთან“ საჩემპიონატო რწმენას როდი ჰმატებს გუნდს. ის ფაქტი, რომ კონკურენტებს ოთხი ქულით ვუსწრებთ, აბსოლუტურ გარანტიას არ იძლევა; მით უფრო, რომ „ლაციომ“ 15 შეხვედრა ზედიზედ წაგო, ხოლო ბოკშიჩი — ჩვენი ყოფილი თანაგუნდელი — განაგრძობს ბურთების გატანას.

ჩირო ფერარა ოჯახის წევრებთან

● *თქვენს გუნდს გამოცდა ელის კიევის „დინამოსთან“.*

— ეს მათ, კიეველებს ელით გამოცდა. არა მგონია რაიმე მოეძებნებოდეთ, რითაც გაგვაკვირვებენ. ჯგუფურ ტურნირში კიეველებმა უკვე აჩვენეს ყველაფერი, რაც შეეძლოთ. ასე მოკლე დროში რაღაც ახლის გამოგონებას ვერ მოახერხებენ.

● *და მაინც, მათი პროგრესი ისე თვალსაჩინო იყო...*

— რაც მართალია, მართალია. ის, რომ მათ ასეთი გიგანტური ნახტომი გააკეთეს სრულიად მოკლე პერიოდში, აღტაცებასა და პატივისცემას იწვევს. შთაბეჭდილებაც კი იქმნება, რომ სულ რაღაც ერთ წელიწადში მსგავსი პროგრესის მიმღწევი გუნდი, რასაც გნებავთ შეძლებს; მაგრამ ვიცი, რომ „იუვენტუსის“ დაჯაბვნის თავი ნამდვილად არა აქვს.

● *ალბათ „ბარსელონაც“ ასევე ფიქრობდა.*

— „ბარსელონა“ მაშინ არც ჰგავდა თავის თავს. ყურადღებით ვნახე ორივე მატჩი, რომ ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნებულიყავი; ოღონდ არ იფიქროთ, თითქოს ჯეროვნად არ ვაფასებდეთ მეტოქის ძალას. არ გვეეჭვება, რომ კიეველები ცხარე ბრძოლას გაგვიმართავენ. უბრალოდ, სიტუაციას რეალურად უნდა შევხედოთ: გამოცდილება არ ეყოფათ „იუვენტუსის“ დასამარცხებლად. კიეველები ჯერ მხოლოდ პირველ ნაბიჯებს დგამენ ჩემპიონთა ლიგაში, ჩვენ კი ორიოდე წლის წინ ხელთ გვეპყრა თასი; გახსოვთ?

● *31 წლისა ხართ, არ იფიქრეთ კარიერის დამთავრებაზე?*

— არა, კიდევ 6-8 წელიწადს ვაპირებ თამაშს. ეს ტრავმა გააგრძელებს კიდეც ჩემს კარიერას; იმიტომ, რომ პირველად გამოჩნდა რამდენიმე თვით დასვენების შესაძლებლობა!

უცხოური პრესის
მიხედვით მოამზადა
თამაზ ებანოიძემ

მინაწერი: 4 მარტს ტურინში „იუვენტუსსა“ და კიევის „დინამოს“ შორის მატჩის შედეგის (1-1) მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ფერარა ზედმეტად დაჯერებული მოჩანს მშობლიური გუნდის შესაძლებლობებში. კიეველებს შეიძლება აღმოაჩნდეთ ტურინელთა დაჯაბვნის თავი...

სტივ სემპსონი: „მზად ვართ გიჩვენოთ ჩვენი სტილი“

FRANCE 98 INFORMATIONS

სტივ სემპსონს ფეხბურთის სამყაროში ცოტა ვინმე თუ იცნობდა, ახლა კი ერთბაშად პოპულარული გახდა. იგი 40 წლისაა, მონაწილეობდა სტუდენტურ შეჯიბრებებში, შემდეგ წარმატებით წვრთნიდა სტუდენტურ გუნდებს მას შემდეგ, რაც მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონატის წინ აშშ-ს ნაკრების მწვრთნელად ბორა მილუტინოვიჩი დაინიშნა, მეორე მწვრთნელად სტივ სემპსონი მიიწვიეს. ისე რომ, როცა აშშ-ს ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის მერვედფინალში გავიდა, ეს ახალგაზრდა მწვრთნელის დამსახურებაც იყო.

1995 წელს, მას შემდეგ, რაც იუგოსლავიელმა სპეციალისტმა აშშ დატოვა, ნაკრები უკვე სემპსონს ჩააბარეს. მას შემდეგ ამ გუნდმა არაერთი მნიშვნელოვანი გამარჯვება იზეიმა, მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონატის საგზური, სულ ახლახანს კი კონკაკაფის „ოქროს თასზე“ თვით ბრაზილიელებს სძლია. ეს, რა თქმა უნდა, დიდი და საამაყო გამარჯვებაა.

მოგვყავს ნაწყვეტები ამერიკელი მწვრთნელის ერთ-ერთი უკანასკნელი ინტერვიუდან.

● *მისტერ სემპსონ, როგორ აფასებთ აშშ-ს გუნდის შესაძლებლობებს მომავალ მსოფლიო ჩემპიონატზე? თქვენ ხომ მეტად რთულ ჯგუფში გამოდიხართ: გერმანია, იუგოსლავია, აგრეთვე ირანი...*

— დიახ, ძნელი ჯგუფია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ყველაფერი უკვე წინასწარ გადაწყვეტილია. შევეცდებით გულშემატკივრებს სიურპრიზი მოვუტანოთ. ვინ ელოდა, რომ 1994 წელს მერვედფინალამდე მივაღწევდით.

● *იმ 4 წლის მანძილზე, რაც მსოფლიოს წინა ჩემპიონატისაგან გვაშორებს, თქვენი გუნდი უფრო გაძლიერდა?*

— რა თქმა უნდა. ამ ხნის განმავლობაში ჩვენმა მოთამაშეებმა, რომლებიც ევროპულ კლუბებში გამოდიან, საკმაო გამოცდილება და საკუთარი ძალების რწმენა მიიღეს. მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონატში კონსერვატიული სტილით ვთამაშობდით, ცდილობდით შევგუებოდით მეტოქეთა თამაშს. ახლა მდგომარეობა მთლიანად შეიცვალა — შევეცდებით საფრანგეთში თამაშის საკუთარი სტილის დემონსტრაცია მოვახდინოთ. დარწმუნებული ვარ, რომ გარკვეულ პირობებში შევძლებთ მსოფლიოს ნებისმიერი ნაკრების დამარცხებას. ეს ჯერჯერობით გაბედული მოსაზრებაა, მაგრამ შევეცდებით ამ სიტყვების ჭეშმარიტების დამტკიცებას.

● *იმის მიუხედავად, რომ ევროპული ფეხბურთი აშშ-ში სპორტის ახალგაზრდა სახეობაა?*

— დიახ, მაგრამ იგი ხომ ძალიან სწრაფად ვითარდება. ეს სენსაციაა — ასეთი პროგრესს ხომ არავინ მოელოდა. მაგრამ ნაკრების წარმატებებმა და ფეხბურთის ეროვნული ლიგის დაარსებამ შეიძლება სოკერი სპორტის ერთ-ერთ ეროვნულ სახეობად აქციოს. როდის იყო, რომ აშშ-ში ტელევიზია აჩვენებდა ჩემპიონთა ლიგას, ევროპისა და სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატების მატჩებს.

● *სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ფეხბურთს აშშ-ში დიდი მომავალი აქვს?*

— დიახ, ჯერჯერობით მხოლოდ მომავალზე უნდა ვილაპარაკოთ. ჩვენ ხომ გრძელი გზის დასაწყისში ვართ. ახლა ჩემი ოცნებაა გუნდი საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატში მეოთხედფინალამდე მივიყვანო. თუკი ეს მოხდა, მაშინ აშშ-ში ფეხბურთის ახალი აღმავლობა დაიწყება. თუ უფრო შორეულ გეგმებზე ვილაპარაკებთ, მაშინ დაახლოებით 2010 წლისთვის მსოფლიო ჩემპიონობის მოპოვებასაც კი ვაპირებთ.

● *ამას წინათ თქვენ ვოლფსბურგში იყავით, სადაც თვალყურს ადევნებდით თქვენი ნაკრების ერთ-ერთი მოთამაშის კლაუდიო რეინას თამაშს. შესაძლოა, რაიმე დასკვნაც გამოიტანეთ გერმანული ფეხბურთის შესახებ. თქვენ ხომ გერმანიის ნაკრებს 15 ივნისს პარიზში შეხვდებით.*

— გერმანია ტრადიციულად მიეკუთვნება წამყვანი საფეხბურთო ქვეყნების რიგებს. ახლა იგი თავისი კონტინენტის ჩემპიონია, დორტმუნდის „ბორუსია“ კი ევროპისა და მსოფლიოს №1 საკლუბო გუნდად ითვლება. მაგრამ ამავე დროს ცნობილია, რომ ჩვენი ნაკლოვანებები ჩვენივე დირსებების გაგრძელებაა. გერმანელები ყოველთვის განთქმული იყვნენ საბრძოლო თვისებებით, ტაქტიკური დისციპლინით, ბრძოლის უნარით, მშვენიერი ამტანობითა და თამაშის ძალისმიერი მანერით. ახლა თამაშის ასეთი სტილი მოდაში აღარ არის. გულშემატკივრებს ბრძოლაზე უფრო შოუ მოსწონთ, ისეთი, როგორსაც თითოეულ მატჩში ბრაზილიელები აწყობენ. ამის მიუხედავად ჩვენი საკუთარი სტილი მაინც უფრო გერმანულს ჰგავს. თანდათანობით ვეუფლებით მას და, ვფიქრობ, ოდესმე შევძლებთ გერმანელებთან თანაბრად თამაშს, მეტიც, დავამარცხებთ კიდეც. რა თქმა უნდა, მინდა იმედი მქონდეს, რომ ეს უკვე ახლავე საფრანგეთშივე მოხდება.

● *პირადად იცნობთ ბერტი ფოგთსს?*

— ბოლო ხანებამდე არ ვიცნობდი. გვსმენოდა ერთმანეთისა, ჩვენს მიერ გაწეული მუშაობის მიმართ პატივისცემასაც გამოვხატავდით. პირველად, და, ჯერჯერობით უკანასნელად ფინალური ტურნირის წილისყრისას შევხვდით.

● *კიდევ აპირებთ უახლოეს ხანში ევროპაში წასვლას?*

დიახ, მინდა ვნახო, როგორ თამაშობენ იოვან კიროვსკი დორტმუნდის „ბორუსიასა“ და ერნი სტიუარტი „ბრედაში“.

● *ამასწინათ თქვენ განაცხადეთ, რომ ჩად დირინგი, რომელიც თავისი გუნდის ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდება, ვერც ერთვნულ ნაკრებში გამოვა. ფეხბურთელის სათამაშო პრაქტიკა შერჩევის მთავარი კრიტერიუმია?*

— რა თქმა უნდა. ავიღოთ მაგალითად, იოვან კიროვსკი. მან ხელი მოაწერა კონტრაქტს მეტად ცნობილ კლუბებთან — ჯერ „მანჩესტერ იუნაიტედთან“, შემდეგ დორტმუნდის „ბორუსიასთან“. მაგრამ რად გვინდა ეს კონტრაქტი, როცა იგი ასე იშვიათად გამოდის მინდორზე? მოთამაშეს ის კი არ უნდა ჩაეთვალოს დამსახურებად, რომ განთქმულ კლუბში ირიცხება, არამედ, მთავარია როგორ თამაშობს.

● *კლაუდიო რეინა ახლა „ვოლფსბურგში“ გამოდის, მის კონტრაქტში კი არის პუნქტი, რომ მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ მას შეუძლია ნებისმიერ კლუბში გადავიდეს, ვინც მეტ თანხას შეაძლებინებს, როგორ ფიქრობთ, მას აქვს შესაძლებლობა ევროპის რომელიმე წამყვან გუნდში აღმოჩნდეს? ლევერკუზენის „ბაიერში“ ხომ ძირითადად სათადარიგოთა სკამზე იჯდა.*

— ლევერკუზენელები, შეიძლება მხოლოდ ახლა მიხვდნენ, რა შეცდომა მოუვიდათ, როცა ასეთ ძლიერ მოთამაშეს შეელიენ. ჯერ კიდევ შარშანდელ სეზონში რეინას პაულო სერჟიოზე მაღლა ვაყენებდი, კლაუდიო შესანიშნავი ფეხბურთელია თამაშის ტაქტიკური გაგების იშვიათი ნიჭით. მას თავისუფლად შეუძლია მსოფლიოს ნებისმიერ გუნდში ითამაშოს. ახლა იგი კარგად გრძნობს თავს „ვოლფსბურგში“, ეს კი იმას ნიშნავს, რომ კლაუდიომ სწორი არჩევანი გააკეთა.

რა ხდება ქვეყანაზე

კაცობის შენარჩუნება... 21 ათას დოლარზე მეტი დაუჯდა

ეს სენსაციური ამბავი რამდენიმე თვის წინათ მოხდა. ნბა-ს ერთ-ერთი უპირველესი ვარსკვლავი უცებ გაქრა სარბელიდან საკმაოდ საპატიო მიზეზით — მუხლის ტრავმა. მაგრამ, როგორც გაირკვა, მარტო ამიტომ არა...

გიგანტი შაკილი, რომლის სიმაღლეა 216 სმ, წონა კი — 135 კგ, „ლოს-ანჯელეს ლეიკერსის“ ცენტრალური თავდამსხმელი, ბოლო ხანებში უქეიფოდ იყო, გაურბოდა ხალხთან ურთიერთობას და მელანქოლიამ მოიცვა, მეტოქე გუნდის მოთამაშეები საკმაოდ მწარედ ხუმრობდნენ: „ნაზად იარე“! ნიკოლ სმითზე მაღალი მკერდი გაქვს“...

საქმე კი ის იყო, რომ შაკილს გინეკომასტია დაემართა — დაავადება, რომელიც მამაკაცის ორგანიზმში ქალის ჰორმონების სიჭარბის გამო სამკერდე ჯირკვლებს ზრდის. ამას, რა თქმა უნდა, დიდი კალათბურთელი ძალზე მტკივნეულად განიცდიდა, რასაც უადგილო ხუმრობები უფრო უმწვავებდა... და შაკილმა პლასტიკური ოპერაციის გაკეთება გადაწყვიტა — კარგი რომ, მუხლის ტკივილი დაემთხვა და შეიძლებოდა ამით აეხსნა საავადმყოფოში დაწოლა.


შაკილ ო'ნილი

სპეციალიზებულ კლინიკაში წარმატებით ჩატარდა ოპერაცია. სამი საათის შემდეგ კალათბურთელი უკვე ოპერაციისშემდგომ პალატაში იყო, მალე მედდის თანხლებით შინ წავიდა.

ოპერაცია 21 ათას 700 დოლარი დაუჯდა. ეს თანხა მისთვის მართლაც „ხელის ჭუჭყია“, რადგან „ლეიკერსთან“ შვიდწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი, რის მიხედვითაც მისი წლიური შემოსავალი 25 მილიონი დოლარი იქნება.

ახლა ო'ნილი კვლავ თამამად გამოდის მოედანზე და ამაყად გადაჰხედავს ხოლმე მეტოქეებს, აქაოდა, იცოდეთ ვისთან გაქვთ საქმე. მან კინომსახიობობაც სცადა: გადაიღეს ფილმში და რამდენიმე სიმღერაც ჩაწერა. ახლა ო'ნილს რესტორნების სარეკლამო სიუჟეტებშიც იღებენ, რეგულარულად გამოდის „პეპსი კოლას“ სატელევიზიო რეკლამებში, მონაწილეობს საბავშვო გადაცემებში, ამას წინათ ხელი მოაწერა ტელესტუდია „ფოკსის“ კონტრაქტს.

ექსპერტი — ფსიქოლოგი დარწმუნებულია: „შაკილს კინოვარსკვლავობა უნდა, იგი იდეალურ მამაკაცად გრძნობს თავს. ამაში ოპერაცია დიდად დაეხმარა“.

უცხოეთის გაზეთებიდან

ნავებშიც — ლეგიონერები

ორი უძველესი ინგლისური უნივერსიტეტის — ოქსფორდისა და კემბრიჯის ნიჩბოსანთა შეჯიბრებები 1829 წლიდან ეწყობა და მკვიდრ ტრადიციად იქცა. დღეისათვის ანგარიშია 74:68 კემბრიჯელთა სასარგებლოდ. ეს ასპარეზობები აქამდე წმინდა ინგლისური შემადგენლობით იმართებოდა — ნავების ეკიპაჟებში ვერც ერთ უცხოელს ვერ შეხვდებოდით. ბოლო დროს საზღვარგარეთელი ლეგიონერების თავისებურ მეტოქეობადაც იქცა: წლეულს, მაგალითად, უკვე ცნობილია, რომ კემბრიჯული ნიჩბების ღირსებას ერთი გერმანელი, ერთი შვედი და ერთიც ამერიკელი (შეერთებული შტატებიდან) დაიცავენ. ამ მხრივ ოქსფორდელებიც არ ჩამორჩნენ — მათ საუნივერსიტეტო ნავში ორი გერმანელი და ერთი კანადელი „იმუშავებენ“...

დოპინგს მომხრე გამოუჩნდა

ასე გვეგონა, რომ ვის შეუძლია დღეს ღიად დაუჭიროს მხარი სპორტში დოპინგის გამოყენებას? თურმე არიან ასეთებიც. ხმა აკრძალული პრეპარატების ლეგალიზაციის შესახებ ბრიტანეთის კუნძულებზე გაისმა.

ყოფილი მწვრთნელი მძლეოსნობაში, 65 წლის ულფ პეიში მსგავსი მოწოდებით გამოდიოდა ბი-ბი-სი-ის ტელევიზიით.

— დოპინგი უნდა აღიქვას სპორტული მიღწევის გაუჯობესების საშუალებად, განაცხადა პეიშმა. მან თავის დროზე ოლიმპიურ ოქროს მედლამდე მიიყვანა ინგლისელი ქალი ტასი სანდერსონი, რომელიც ჩემპიონის ტიტულს დაეუფლა 1984 წლის ლოს-ანჯელესის თამაშებზე. მანვე მოამზადა სამხრეთ აფრიკის მძლეოსნები ატლანტის ოლიმპიადისათვის. — სტეროიდებიც კი, თუ გავაკონტროლებთ, ძალიან მავნებელი არაა.

დღეს არსებული დოპინგსაწინააღმდეგო წესები ვერ მოქმედებს, — მიაჩნია მწვრთნელს. მაღალი რანგის სპორტსმენები მაინც ხმარობენ აკრძალულ პრეპარატებს, რაც, უმეტეს წილად, შერჩებათ ხოლმე, მაშ რაღა საჭიროა ფარისევლობა? პეიში იმასაც არ მალავს, რომ უველაფერი კეთდება ფულისათვის — გამარჯვებულ ათლეტებს უხვად აჯილდოებენ. მისი თვალსაზრისი ემთხვევა საშრეთაფრიკელი სწავლულის ჯონ ხოულისა და სპორტული პრობლემების არგენტინელი მკვლევარის კლაუდიო ტამბურინისას.

— არავინ აპირებს აღუდგეს მათ, ვინც სპორტული კარიერისათვის დიდ შრომას ეწევა და ჯანმრთელობას სწირავს, — განაცხადა ტამბურინიმ. — ელიტარული სპორტი პროფესიულია, ამდენად სპორტსმენებმა თავად უნდა მიიღონ გადაწყვეტილება გაიმეტონ თავიანთი ჯანმრთელობა თუ არა.

ჭადრაკი

„ყაიმების ნვიმა“ ლინარესში

ლინარესის საერთაშორისო სუპერტურნირი სხვებისაგან მარტო უძლიერესი შემადგენლობით როდი გამოირჩევა, არამედ, ერთი თავისებურებითაც: შეჯიბრების ორგანიზატორი ლუის რენტერო ყიმებისათვის დიდოსტატებს ...აჯარიმებს. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, რენტერო ამისათვის მონაწილეებს საპრიზო ფონდიდან გარკვეულ თანხასაც უბრის.

და კიდევ: ლინარესი-98 გამოირჩევა იმით, რომ მსოფლიო ჩემპიონი გარი კასპაროვი შედეგებით დანარჩენი მონაწილეებისაგან სრულიადაც არ განსხვავდება! ეს ჯერჯერობით მართლაც მოულოდნელი გახლავთ, მაგრამ, ცხადია, შეიძლება ვითარება შეიცვალოს.

მერვე ტურის შემდეგ 4,5 ქულით (7 თამაშიდან) პირველ ადგილზე იყო ალექსეი შიროვი, რომელსაც ნახევარი ქულით ჩამორჩებოდნენ გარი კასპაროვი, ვიში ანანდი, და ვლადიმირ კრამნიკი. მათ ასევე 7-7 პარტია ჰქონდათ ჩატარებული. და აი მეცხრე ტურში შიროვმა წააგო ივანჩუკთან, რომლისთვისაც ეს ტურნირში პირველი გამარჯვება იყო. ამის შემდეგ ლიდერს დაეწივნენ კრამნიკი და ანანდი, რომლებმაც თავიანთი პარტიები ყაიმით დაასრულეს: პირველმა ვესელინ ტოპალოვთან, მეორემ პეტრე სვიდლერთან. კასპაროვი ტურში ისვენებდა.

ამრიგად, ლინარესში აკრძალვის მიუხედავად, კვლავ „ყაიმების წვიმაა“, საერთო სატურნირო მდგომარეობა კი უკიდურესად ბუნდოვანი, როცა ვერაფერს გაუგებ. ეს ფინიშის წინ მართლაც რომ დიდ დაძაბულობას ქმნის.


10-12

19-22


67-68

112-113


11

56

კროსვორდი: «ესპანური ფეხბურთი»

თარაზულად: 2-4. „ბარსელონას“ სათადარიგო მეკარე, 5-6. „ბარსელონას“ რუმინელი თავდამსხმელი ახლო წარსულში; საფეხბურთო კლუბები: 7-9, 71-72, 79, 89-92, 93-95. „სალამანკა“, 109-111, 140-141, 10-12. „ატლეტიკოს“ თავდამსხმელი *(ფოტო)*, 14. „რეალის“ თავდამსხმელი, 15-17. „ბარსელონას“ და „რეალის“ ყოფილი დანიელი თავდამსხმელი, 18. „ბარსელონას“ ბრაზილიელი ნახევარმცველი, 19-22. „რეალის“ მეკარე *(ფოტო)*, 23-25. „რეალის“ და ესპანეთის ნაკრების ყოფილი ფორვარდი, 26-27. „რეალის“ თავდამსხმელი 50-60-იან წლებში, 29-30. ესპანეთის ნაკრების თავდამსხმელი, 1964 წლის ევროპის თასის მფლობელი, 31-32. „ატლეტიკოს“ მწვრთნელი, 33. 50-იან წლებში „რეალის“ ბრაზილიელი ნახევარმცველი, 35. „ბარსელონას“ ბრაზილიელი ფორვარდი, 36-37. 70-80-იან წლებში ესპანურ კლუბებში მოთამაშე არგენტინელი თავდამსხმელი, 39-40. ახლო წარსულში „ბარსელონაში“ და „სევილიაში“ მოასპარეზე არგენტინელი ფორვარდი, 41. „ბარსელონას“ ნახევარმცველი, 44-45. ფიფას ყოფილი პრეზიდენტი, 47. ახლო წარსულში „ბარსელონაში“ მოთამაშე ბრაზილიელი ფორვარდი, 48-49. ფეხბურთელის ამპლუა, 52-53. „რეალის“ პრეზიდენტი, 55-57. 80-იან წლებში სარაგოსას „რეალში“ მოთამაშე ურუგვაელი თავდამსხმელი, 58-60. „ესპანიოლას“ არგენტინელი ფორვარდი, 63-65. „რეალის“ იუგოსლავიელი თავდამსხმელი, 67-68. „ბეტისის“ თავდამსხმელი *(ფოტო)*, 73-75. ესპანეთის ნაკრების ყოფილი მცველი, ევროპის 1984 წლის ვიცე-ჩემპიონი, 77-78. „სალამანკას“ რუმინელი ლეგიონერი, 80. „ატლეტიკოს“ იტალიელი ფორვარდი, 81-82. 50-იან წლებში ესპანურ კლუბებში მოღვაწე არგენტინელი მწვრთნელი, 83-84. „ბარსელონას“ ყოფილი უნგრელი ფორვარდი, 85-86. კამერუნელი მეკარე, რომელიც 80-იან წლებში გამოდიოდა „ესპანიოლაში“, 98-99. „ბარსელონას“ ჰოლანდიელი მეკარე, 102. „ბარსელონას“ ბულგარელი ფორვადი, 106-108. „რეალის“ და ესპანეთის ნაკრების ფეხბურთელი, 112-113. „ბარსელონას“ თავდამსხმელი *(ფოტო)*, 114-115. „ბარსელონას“ პორტუგალიელი მეკარე, 117-118. ახლო წარსულში „სარაგოსას“ გერმანელი მცველი 119-120. „ატლეტიკოს“ ყოფილი ბრაზილიელი ფორვარდი, 121-122. „რეალის“ ჰოლანდიელი ნახევარმცველი, 124-127. 70-80-იან წლებში ესპანეთის ნაკრების მეკარე, 128-129. „ვალენსიას“ ფრანგი მცველი, 130-131. „რეალის“ გერმანელი მეკარე, 132-134. „ბარსელონას“ ყოფილი ჰოლანდიელი მოთამაშე და მწვრთნელი, 135-136. „რეალის“ და ნაკრების ყოფილი მწვრთნელი, 138-139. 70-იან წლებში „ვალენსიას“ ჰოლანდიელი თავდამსხმელი, 142-143. „ვალენსიას“ არგენტინელი ფორვარდი, 145-146. „ბარსელონას“ ბრაზილიელი თავდამსხმელი, 147-148. „რეალის“ გერმანელი ფეხბურთელი 70-იან წლებში, 150. ნაკრების მეკარე, ევროპის თასის მფლობელი, 151-152. „ესპანიოლას“ ყოფილი რუმინელი ფორვარდი.

ზვეულად: 1-20. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი ფირმა, 2-38. „ბარსელონას“ და ნაკრების ყოფილი კაპიტანი, 3. 70-80-იან წლებში „რეალის“ ფორვარდი, 8. „რეალის“ მცველი, შემდგომში (71-77 წწ.) „ესპანიოლას“ მწვრთნელი, 10-42 50-იან წლებში „ბარსელონას“ უნგრელი თავდამსხმელი, 11. „ატლეტიკოს“ ნახევარმცველი *(ფოტო)*, 13. წარსულში ცნობილი მწვრთნელი, 15-61. „ატლეტიკის“ ფრანგი ლეგიონერი, 16-62 „ბარსელონას“ მცველი, 21-59. 1960 წლის ევროპის რჩეული ფეხბურთელი, 24-64, ნაკრების ყოფილი მცველი, ევროპის 1984 წლის ვიცე-ჩემპიონი, 26-66. 70-80-იან წლებში „რეალის“ თავდამსხმელი; საფეხბურთო კლუბები: 28-46, 51-104, 54-ე, 81-145, 87-148, 91-128; 34. „სევილიას“ ყოფილი რუსი მეკარე, 43-101. „ბარსელონას“ ჰოლანდიელი ნახევარმცველი 70-იან წლებში, 50. „ატლეტიკოს“ და „რეალის“ მექსიკელი ფორვარდი 80-იან წლებში, 56-ი „ბარსელონას“ და ნაკრების თავდამსხმელი 80-90-იან წლებში *(ფოტო)*, 66. „ბეტისის“ მცველი, 69-129. „ვალენსიას“ და ნაკრების მეკარე, 70-130. ახლო წარსულში „რეალის“ ხორვატი ნახევარმცველი, 74-100. 70-იან წლებში „ატლეტიკოს“ არგენტინელი ფორვარდი, 76. „ბარსელონას“ პორტუგალიელი ნახევარმცველი, 88. „ბარსელონას“ და „დეპორტივოს“ ყოფილი ფეხბურთელი, 90-133. ახლო წარსულში „სევილიას“ ავსტრიელი თავდამსხმელი, 94-131. 70-იან წლებში „რეალის“ გერმანელი ნახევარმცველი, 97-134. 70-იან წლებში „სევილიას“ არგენტინელი თავდამსხმელი, 103. ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი, ევროპის 1984 წლის ვიცე-ჩემპიონი, 105. მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო მეკარე, 107. „რეალის“ არგენტინელი ნახევარმცველი, 110. ლეგენდარული ბასკი თავდამსხმელი, 111-137. „ოვიედოს“ ფეხბურთელი, 114-119. 70-იან წლებში „ვალენსიას“ გერმანელი ნახევარმცველი, 116. წარსულში „რეალის“ სახელგანქმული უნგრელი თავდამსხმელი, 119-136. მსოფლიოს VIII საფეხბურთო ჩემპიონატის თიმლისმა, 123. „ლა კორუნიას“ ყოფილი ბრაზილიელი ფორვარდი, 125-144. ფრანგი თავდამსხმელი, 50-იანი წლების „რეალის“ მოთამაშე, 126. „ატლეტიკოს“ 1979-82 წლების ბრაზილიელი ნახევარმცველი, 127. ახლო წარსულში „ატლეტიკოს“ ბრაზილიელი ნახევარმცველი.



მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მოამზადა ბიძინა წირქვაძემ (თბილისი)

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 5. ნოკაუტი, 7. ჯანინი, 8. დირსეუ, 10. მაიკი, 11. გულიტი, 12. სტატი, 13. ბროლინი, 18. „ვალენსია“, 20. ჰსუ, 21. გაუდინო, 25. ნერლინგერი, 26. ლაზარიდისი, 28. უილკინსი, 30. რაი, 31. სკიფინო, 36. „ბავარია“, 38. ესებუა, 39. „მილანი“, 40. ტოლდო, 41. ემიანი, 42. რაპირა, 43. ტრიკონი.

ზვეულად: 1. ჟოსიმარი, 2. გაბრიელასი, 3. სტადიონი, 4. დონატო, 6. პესოტო, 7. ჭელაძე, 9. უგრინი, 14. გაბელია, 15. ჰინგისი, 16. კარანკა, 17. ნილსენი, 19. „ნაიკი“, 22. დენნა, 23. ურო, 24. მაი, 27. კაპაბლანკა, 29. კადეტე, 32. ფერარა, 33. „შახტიორი“, 34. ჩიგორინი, 35. ბულიტი, 37. ბილიჩი.

ვლადიმერ ცარციძე



უდროოდ შეწყდა ახალგაზრდა, პერსპექტიული მოჭიდავის ვლადიმერ ცარციძის სიცოცხლე. იგი მხოლოდ 18 გაზაფხულს მოესწრო — უკურნებელმა სენმა ორი წლის წინათ დარია ხელი, მაგრამ შეუპოვარი ხასიათი ჰქონდა და ხალიჩის მიტოვებას არ აპირებდა. თუმცა, დიდხანს ვერ გაუძლო და საბოლოოდ ჩამოშორდა სპორტს. ვლადიმერი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში არაერთგზის საქართველოს ჩემპიონი იყო, ჭაბუკებში გაიმარჯვა ირანის დიდ საერთაშორისო ტურნირში, მონაწილეობდა ჭაბუკთა მსოფლიო პირველობაში უნგრეთში, მეტი ვედარაფერი მოასწრო, თუმცა ჭაბუკთა ნაკრების კაპიტანი მწვრთნელებს უკვე ახალგაზრდული ნაკრების წევრად ჰყავდათ ჩარიცხული.

მისი ოცნება იყო, ღირსეულად ევლო სახელოვან წინაპართა ნაკვალევზე, ეს ოცნება მამამ, ცნობილმა ქუთაისელმ. ფალავანმა ტარიელ ცარციძემ ჩაუნერგა. ჩანაფიქრის ასახდენად კი უველანაირი მონაცემი ჰქონდა. ქუთაისელ თანატოლებში იმთავითვე გამოირჩეოდა არა მხოლოდ სპორტული მონაცემებით, არამედ სამართლიანობით, რაინდული თვისებებით, აღზრდილობით, რაშიაც დიდი იყო ოჯახის დამსახურება.

ნიჭიერი სპორტსმენის და შესანიშნავი ახალგაზრდის ვლადიმერ ცარციძის ხსოვნა სამუდამოდ დარჩება უველას გულში, ვინც ამ უაღრესად კეთილშობილურ ახალგაზრდას ახლოს იცნობდა.

საქართველოს ჭიდაობის ფედერაცია

ქ. თბილისის მერიის სპორტის სამმართველო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე

რომან მიმინოშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს რკინიგზის ხელმძღვანელობა და ცენტრალური სპორტული კლუბი „ლოკომოტივი“ ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარის

რომან მიმინოშვილის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საჭადრაკო ამოცანა

ე. პალკოსკა (რუსეთი)



შამათი 6 სვლაში

წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:
1. ლg3! მფg5 2. ლd6+ მფh5 3. ლh6X.
1. ...მფd5 2. ლd6+ მფe4 3. კc2X.
1. ...მფe4 2. ლe5+ მფd3 3. ლe3X.

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელის“ სამაგიჟო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძ